ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 20 მაისი, 2016 №118 (7044) ფასი: 50 თეთრი

გადაარჩინეთ მიხეილ გიორგაძე!

გვ.2

20 მაისიდან
ნოდარ დუმბაძე
თეთრი წვიმაკლოვები
ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

„ქართული ოცნება“ მერაბიშვილისა და უგულავას გათავისუფლებას ითხოვს?

გვ.2

საპარლამენტო უმრავლესობა პოლიტსაბჭოს ახალი წევრის წინააღმდეგ



კახა კუკავა: „ივანიშვილმა ძალაუფლება შეიძლება სააკაშვილს გადააბაროს“

გვ.3

დღეს ნაციონალურ მოძრაობას საშუალოდ მხარს უჭერს 20-30%, ასევე 20-30% ჰყავს ივანიშვილს

გიგა ბუკია: „ნაციონალების ვითომ ახალი სახეების უკან მგლების ხროვაა ჩასაფრებული“

გვ.4

„რომან გოცირიძე აქამდე დამოუკიდებელი ექსპერტის რანგში გვმოძღვრავდა“

ხურჩა-ნაბაკევის ადმინისტრაციულ საზღვართან აფხაზმა ე.წ. მესაზღვრემ გალიდან დევნილი მოკლა

არსებული ინფორმაციით, ხურჩა-ნაბაკევის ადმინისტრაციულ საზღვართან, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, აფხაზმა ე.წ. მესაზღვრემ გალის რაიონიდან დევნილი, 1986 წელს დაბადებული გიგა ოთხოზორია მოკლა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თვითმხილველებმა განუცხადეს, „აფხაზი ე.წ. მესაზღვრე საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოვიდა და ოთხოზორიას ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა“.

ახალგაზრდა მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა. ის ქუთაისის პროზექტურაშია გადასვენებული.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, ინციდენტს წინ შელაპარაკება უძღოდა. ინტერპრესნიუსი

გვ.2

დასავლეთი ფსონს „ქართულ ოცნებაზე“ ჩამოდის?

ზაალ კასრელიშვილი: „ალასანიამ და სხვა მედასავლეთეებმა ჰკითხონ პატრონებს, რატომ არიან ამ დღეში“

ISSN 1987-9385

წავა თუ არა პაატა ბურჭულაძე ნაციონალებთან კოალიცია „ნაციონალური სახელმწიფო ხალხისთვის“ შედგება?

გვ.3

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელმა გინესის რეკორდი დაამყარა

გვ.4



გვ.4

ბაჩუკი ქარდავა: „8 ოქტომბერს არჩევნები, ალბათ, გერმანული მოდელით ჩატარდება“

დასავლეთი ფსონს „ქართულ ოცნებაზე“ ჩამოდის?

ზაალ კასრელიშვილი: „ალასანიამ და სხვა მედასავლეთეებმა ჰკითხონ პატრონებს, რატომ არიან ამ დღეში“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ შესუსტდა მედასავლეთე პარტიების გავლენები, რა მოლაპარაკებები მიდის რუსეთსა და დასავლეთს შორის, ვინ უნდა გაარკვიოს პატრონებთან ურთიერთობები? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

ზაალ კასრელიშვილი:

– ბოლო პერიოდში საქართველოში მოქმედი პროდასავლური ძალების რეიტინგი მკვეთრად შემცირდა. ეს ძალები თუ არ გაერთიანდნენ, არჩევნებზე შედეგს ვერ დადებენ. ყველა ამ პარტიას დასავლეთში თავისი პატრონი ჰყავს. ეს პატრონები უნდა დახდნენ და გაერთიანებაზე დაილაპარაკონ.

უპერსპექტივოდ დარჩენილ რესპუბლიკელებს, მძევლად აყვანილ თავისუფალ დემოკრატებს (მათ საკუთარი თავი თავად აიყვანეს მძევლად, როცა ნაადრევად იზეიმეს კაბელების საქმის მოგება), ნაციონალებსა და რამდენიმე ახლადწარმოქმნილ პარტიას გაერთიანების იქით პერსპექტივა არ აქვთ.

– პროდასავლური ძალები როცა ჩამოთვალეთ, „ქართული ოცნება“ არ გიხსენებიათ. გამოგრჩათ თუ მათ პროდასავლურ ძალად არ მიიჩნევთ?

– პროდასავლური ძალების ავტორიტეტი და ნდობის ლიმიტი ამოწურულია. ამის საწინააღმდეგოდ დასავლეთი ქმედით ზომებს არ მიმართავს. გამონაკლისი მაღალი ტრიბუნიდან გაკეთებული რამდენიმე განცხადებაა, რომელსაც შედეგი არ მოჰყოლია. ცოტა ხნის წინ დასავლეთში „ქართული ოცნების“ პირველი პირები მიიწვიეს, პოზიციების დასაფიქსირებლად ტრიბუნაც მისცეს და ამით დამთავრდა ყველაფერი. ამ და სხვა ბევრი მიზეზის გამო პროდასავლური ძალების გავლენები მთავრობაზე სერიოზულად შესუსტდა. იგივე ითქმის მედიაზეც. მათი მხრიდან წარმოებული ოპონირება მხოლოდ თავის გადარჩენის მცდელობაა და სხვა არაფერი.

ჩვენ ალასანიასა და სხვა პროდასავლურ ძალებს ვურჩევთ, თავიანთ პატრონებთან გაარკვიონ ურთიერთობები. ჰკითხონ თავიანთ პატრონებს, თუ რატომ არიან ამ დღეში. პასუხი მათთვისაც და ქვეყნისთვისაც ძალიან საინტერესო იქნებოდა.

– თქვენ შეგიძლიათ გვითხრათ, რა იქნება პასუხი?

– სავარაუდოდ, ფსონი „ქართულ ოცნებაზეა“ გაკეთებული და ამიტომაც შესუსტდა სხვა მედასავლეთე პარტიების რეიტინგი. გაკეთდება ერთი მსხვილი ფსონი და მორჩა. აქამდე სხვებზეც კეთდებოდა წვრილი ფსონები, მაგრამ ეს უფრო დაზღვევა იყო, ვიდრე მებრძოლი ძალა.

არის მეორე ვარიანტიც და, იმედი მაქვს, რომ ეს არ იქნება სიმართლე – პროდასავლურების შესუსტება, შესაძლოა, იმით იყოს განპირობებული, რომ დასავლეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის სასარგებლოდ თმობს პოზიციებს.

– თქვენი აზრით, რომელი ვერსია უფრო რეალურია?

– ყველაფერი ამ არჩევნებზე გამოჩნდება. ამ საკითხთან დაკავშირებით პროგნოზის გაკეთება არავის შეუძლია და ახლავე გეტყვით, რატომაც. ის, რაც მოხდა საბჭოთა კავშირში 90-იან წლებში, გორბაჩოვი-რეიგანის რეიკიავიკის შეხვედრამდე იყო დაგეგმილი. ეს მაშინ გახდა ცნობილი, როცა ელცინი ხელისუფლებიდან წავიდა. მთელ რიგ დოკუმენტებს მოეხსნა გრიფით „საიდუმლო“ და ახლა ყველამ იცის, რომ ეს იყო გარიგება.

ჩვენ სირიის, ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებას თუ გავითვალისწინებთ, არ გამოვრიცხავთ, რომ მსოფლიოს ახალი გადანაწილება მიდის. შეიძლება ეს გარიგება შეეხოს კავკასიასაც. აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მთავარი პლაცდარმი არის კავკასია. ამ რეგიონზე თუ ვინმეს გავლენის მოპოვება სურს, პირველ რიგში, ეს საქართველოზე უნდა განახორციელოს.

ასე რომ, სანამ პარტიები რამეს დაიმუქრებიან ან ამომრჩეველს რამეს დაჰპირდებიან, კარგად გაარკვიონ ურთიერთობები პატრონებთან.

– რამდენჯერმე ახსენეთ, რომ პროდასავლური ძალების ნდობის ლიმიტი ამოიწურა. ამ ფონზე არ გაზრდილა პრორუსული ძალების რეიტინგი, ხალხი აღარც მათ ენდობა. ნდობის შესუსტება მხოლოდ იმის ბრალია, რომ მათი პატრონები რაღაც გეგმებს აწყობენ თუ მიზეზი სხვაა?

– საბედნიეროდ, მედასავლეთე ძალების ნდობა პრორუსული ძალების გაძლიერების ხარჯზე არ შესუსტებულა. უბრალოდ, საქართველოს მოსახლეობა გასული საუკუნის 90-იანი წლების ნიშნულს უბრუნდება, როცა წინა პლანზე ეროვნული ცნობიერება იყო წამოწეული.

უკანასკნელი 26 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა კარგად გაერკვა პოლიტიკურ ვითარებაში. ქართველებს პოლიტიკის კეთებაც აქვთ გენებში კოდირებული და ბრძოლის უნარიც. რაც მთავარია, როგორც იქნა, დავრწმუნდით, რომ საჩვენოდ არავინ არაფერს აკეთებს და არც გააკეთებს, თუ უფრო მეტი სარგებელი არ ნახეს ჩვენს ხარჯზე.

საქართველოში ამომრჩევლის 65% არჩევნებზე მისვლას არ აპირებს. ეს ის ამომრჩეველია, რომელიც იდეოლოგიურ ლიდერს ელოდება. ეს 65% არ არის ის ხალხი, რომლებიც პირადი ნაცნობობის ხარჯზე ხმა მისცემენ რომელიმე ორგანიზაციას, რომ მერე სარგებელი ნახონ. დარჩენილი 35% კი ერთად აღებული ყველა პარტიის მრევლი გახლავთ. იქიდანაც რაღაც ნაწილი ნაცნობობის ან სამსახურის ხათრით იძულებულია, წავიდეს არჩევნებზე.

– ზემოთ თქვით, რომ ამომრჩევლის 65% იდეოლოგიურ ლიდერს ელოდება. პოლიტიკურ ასპარეზზე ასეთი ჩანს ვინმე?

– ასპარეზზე ასეთი ლიდერი ჯერ არ ჩანს. იმედი მაქვს, აუცილებლად გამოჩნდება. მთავარი ისაა, რომ ხალხში ეროვნული ორიენტაციის ლიდერზეა მოთხოვნა.

– ეროვნული ორიენტაციის ლიდერის ნაცვლად ხალხი ისევ მესიის მოლოდინში ხომ არ არის?

– ამ შემთხვევაში მესიაზე საუბარი არ არის. მოსახლეობა ითხოვს ლიდერს, რომლისთვისაც მთავარი საქართველოს ინტერესები იქნება. იცით, როგორ ლიდერს ელოდება ხალხი? რომელიც დასავლეთისთვისაც მისაღები იქნება, აღმოსავლეთისთვისაც და ჩრდილოეთისთვისაც.

– შეუძლებელია, ადამიანი ყველასთვის მისაღები იყოს.

– ლიდერი თუ თავისი ქვეყნის ინტერესების გამტარებელი იქნა, მას ყველა პატივისცემით შეხედავს. ქართველი ხალხი გაუცნობიერებლად ღირსების ოფიცერს ელოდება, რომელიც არავის დაუწყებს ლაქუცს.

– ზემოთ თქვენ მსოფლიოს ახალ გადანაწილებასა და შესაძლო გარიგებაზე ისაუბრეთ. რამდენად მაღალია იმის შანსი, რომ რუსეთმა და დასავლეთმა საქართველოსთან დაკავშირებით გარიგება დადონ?

– რამდენად შედგება ეს გარიგება, ვერ გეტყვით, საუბარი კი ნამდვილად იქნება, თუ უკვე არ იყო. ახლო აღმოსავლეთის პრობლემა დღეს მეორე პლანზეა გადაწეული. მთავარ თემად რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება იქცა, რომელიც, ფაქტობრივად, მოსკოვისა და ნატოს დაპირისპირებაა. როგორც ჩანს, აღმოსავლეთის გარდა, კრემლს კიდევ ორი მიმართულებით მოუწევს ბრძოლა – სამხრეთითა და დასავლეთით.

სამხრეთის ანუ თურქეთის ფრონტის გასახსნელად მოსკოვს მყარი ფიზიკური და მორალური პოზიციები სჭირდება. ასეთი მყარი პოზიციის დასაკავებლად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კავკასია. კავკასია მნიშვნელოვანია თურქეთისა და დასავლეთისთვისაც.

კავკასიის რეგიონი გახლავთ ენერგომატარებლების დერეფანი, რომლითაც უახლოესი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ბუნებრივი აირით უნდა მომარაგდეს დასავლეთი.

– ასეთ შემთხვევაში რატომ ან რის სანაცვლოდ უნდა დაუთმოს დასავლეთმა რუსეთს კავკასია?

– ამ რეგიონისთვის ბრძოლა დაუნდობელი იქნება. არც დასავლეთი და არც რუსეთი მარტივად არ დათმობს რეგიონს.

– ჩვენ არავინ გვკითხავს, საით გვინდა წასვლა?

– სწორედ ამიტომ ითხოვს მოსახლეობა ეროვნული ორიენტაციის ლიდერს, რომელიც საკითხს ისე დააყენებს, რომ ორივე მხარე ანგარიშს გაგვიწევს.

„ქართული ოცნება“ მერაბიშვილისა და უგულავას გათავისუფლებას ითხოვს?

საპარლამენტო უმრავლესობა პოლიტსაბჭოს ახალი წევრის წინააღმდეგ

შორენა მარსაგიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობაში კვლავ დაძაბულობაა. დეპუტატები ამჯერად „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს ახალ წევრს, ყოფილ მოქკავშირელსა და შემდგომ უკვე მემარჯვენე დავით კოღუაშვილს აუმხედრდნენ.

როგორც „ახალ თაობასთან“ კერძო საუბარში „ქართული ოცნების“ წევრები ამბობენ, პარტიის ლიდერად კოღუაშვილის გამოჩენა არავის გახარებია. კოღუაშვილის ვარსკვლავის ამობრწყინებას ისინი დავით საგანელიძესა და გიორგი კვირიკაშვილს უკავშირებენ.

თავიდან მას ღიად მრეწველები და თამაზ მეჭიაური ეკვეთნენ, ბოლო განცხადების გამო კი უმრავლესობაში სერიოზულად შეშფოთდნენ. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, მეოცნებემ ლამის მერაბიშვილისა და უგულავას გათავისუფლება მოითხოვა. დეპუტატები ეჭვობენ, რომ შესაძლოა ამისათვის ნიადაგიც კი მზადდებოდეს.

კოღუაშვილმა პარტიულ დისციპლინაზე საუბრისას აღნიშნა, რომ პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით პარტიაში ერთ აზრზე ყოფნა უმნიშვნელოვანესია. მისი თქმით, იმ ადამიანებისგან, რომლებსაც ფუნდამენტურ საკითხებზე განსხვავებული მოსაზრება ჰქონდათ, „ქართული ოცნების“ გამიჯვნა და დისტანცირება თავისთავად უკვე მოხდა. ამის მაგალითად კი გოგი თოფაძე და თამაზ მეჭიაური დასახელდნენ.

პოლიტსაბჭოს წევრს თამაზ მეჭიაური და თოფაძის მეგობარი და პრესსპიკერი ზურაბ ტყემალაძე გამოეხმაურნენ. მეჭიაურის განცხადებით, კოღუაშვილს თავი ლიდერად წარმოუდგენია და თავს უფლებას აძლევს, სხვებს ჭკუა დაარიგოს.

– რომ გამოვიდა ის კოღუაშვილი და ჭკუას არიგებდა ვიღაცებს, დადიოდა, ლიდერად ვიქნებიო, ლიდერებს კი არ ირჩევენ, ლიდერები ხდებიან. ახლა ახალი პარტია ამოიღეს თაროდან – ახალი მემარჯვენეები. ადრე ერთი გააცოცხლეს – რესპუბლიკელები, გაუკეთა რეინკარნირება ჩვენმა პარტიამ თუ ხელმძღვანელობამ თავისუფალ დემოკრატებსა და სხვადასხვა პარტიებს, დღის წესრიგში ახლა ეს დადგა და ჩვენ გვმოძღვრავენ, გვასწავლიან, როგორ უნდა მოვიქცეთ შიგნით პარტიაში, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

ზურაბ ტყემალაძემ კი კოღუაშვილს თოფაძის გვარის ხსენებისას სიფრთხილის გამოჩენა ურჩია.

– მინდა ვურჩიო ბატონ კოღუაშვილს, თოფაძის გვარის ხსენებას თავი დაანებოს. მე რჩევას ვაძლევ უმცროს მეგობარს, რა დისციპლინაზე მელაპარაკება, ილაპარაკოს თავისი პარტიის დისციპლინასთან დაკავშირებით. ბატონო კოღუაშვილო, თოფაძე არ არის თქვენი ქვეშევრდომი და არც ის პიროვნება, რომელსაც პრესის საშუალებით ასე ხმამაღლა მოუწოდოთ, – აღნიშნა ტყემალაძემ.

* * *

უმრავლესობაში მისი ეს განცხადება ხეირიანად არ ჰქონდათ მონელებული, რომ კოღუაშვილისგან ახალი სიურპრიზი მიიღეს.

კოღუაშვილმა „ქართულ გაზეთთან“ ინტერვიუში წინა ხელისუფლების პატიმრობაში მყოფ ყოფილ წევრებზე ისაუბრა.

მისი თქმით, მას არ ჰგონია, რომ გიგი უგულავა ციხეში დიდხანს გაჩერდეს და მიაჩნია, რომ უგულავას შეუძლია, გაცილებით მეტი სიკეთე მოუტანოს ქვეყანას გარეთ, ვიდრე საკანში. კოღუაშვილი ვანო მერაბიშვილსაც გარემოების მსხვერპლად მიიჩნევს:

უგულავასა და მერაბიშვილის თემა მეოცნებეებისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია. საინტერესოა, ამ საკითხის ირგვლივაც ხომ არ მოითხოვს ის ერთიანი პოზიციის დაფიქსირებას.

ისე, ბოროტი ხმები კარგა ხანია ამბობენ, რომ საარჩევნოდ დასავლეთის გულის მოსაგებად ხელისუფლება უგულავასა და მერაბიშვილის გამოშვებას აპირებს.

გადააყენონ მიხეილ გიორგაძე!

– გადააყენონ მიხეილ გიორგაძე! – ამ განცხადებით საყდრისის დაცვის კომიტეტი გამოდის და კულტურის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლებას ითხოვს. კომიტეტი მოთხოვნით საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიმართავს.

კომიტეტის წევრ ირაკლი მამალაძის ინფორმაციით, კულტურის მინისტრი კორუფციულ გარიგებებშია შემჩნეული:

– მიხეილ გიორგაძეს ვთხოვთ პასუხს ძალიან ბევრ კითხვაზე. საუბარია კორუფციულ გარიგებებზე, რომელსაც ხელმძღვანელობს ბატონი გიორგაძე. დაახლოებით ქვეყნის იმიჯი, თუნდაც საყდრისის აფეთქებით. ჩვენ მივმართავთ პრემიერ-მინისტრს, დაუყოვნებლივ გადააყენოს ბატონი გიორგაძე, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებლად დავიწყებთ კონსულტაციებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დავიწყებთ პერმანენტულ აქციებს, – აცხადებს ირაკლი მამალაძე.

საყდრისის დაცვის კომიტეტის განცხადებას გამოეხმაურა კულტურის მინისტრი:

– ვიღაც ითხოვს ვიღაცის გადადგომას. ეს მისი ან მათი უფლებაა. ფაქტია ის, რომ ყველა გადაწყვეტილება, რომელიც კულტურის სამინისტროში იყო მიღებული, არის არგუმენტირებული და ჩვენ არასდროს მოგვრიდებია არცერთ ამ საკითხზე საუბარი.

ეკა ირემაშვილი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

კოალიცია „ნაციონალური სახელმწიფო ხალხისთვის“ შედგება?

წავა თუ არა პაატა ბურჭულაძე ნაციონალებთან

როგორც კი პაატა ბურჭულაძემ მინიშნება გააკეთა, პოლიტიკაში ვაპირებ ძალების მოსინჯვასო, მაშინვე გაჩნდა ვარაუდი, რომ ის ამას დამოუკიდებლად არ აპირებდა. უფრო კონკრეტულად კი, მედიაში გავრცელდა ფოტოები, რომლებზეც ოპერის მომღერალი მიხეილ სააკაშვილთან ერთად რესტორანში ქეიფობდა და ფოტო განცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე იყო გადაღებული.

კი იძახა ბურჭულაძემ, შემთხვევით შევხვდითო, მაგრამ საზოგადოებამ, რომლისთვისაც ნაციონალური მოძრაობისა და მისი სატელიტური პარტიების ხელწერა უკვე კარგადაა ცნობილი, ეს აღარ დაიჯერა.

ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც მოსალოდნელი იყო და ნაციონალურმა მოძრაობამ და „სახელმწიფომ ხალხისთვის“ შესაძლო ალიანსზეც მიანიშნეს.

– გარკვეულწილად ბურთი არის ბურჭულაძის მოედანზე. მისი ზოგიერთი განცხადება საინტერესოა და ემთხვევა ჩვენს შეხედულებებს, მაგრამ მთლიანობაში მან და მისმა გუნდმა მკაფიო გზავნილები უნდა ჩამოაყალიბონ ქვეყნის საშინაო და საგარეო პრიორიტეტებზე.

რაღაცები მსმენია, მაგრამ საერთო სურათი როგორია, არ ვიცით, რომ იყოს ჩვენი მხრიდან ახალი განცხადების სურვილი. ამ ახალმა გუნდმა და მისმა ლიდერმა უნდა გამოკვეთონ, საით მიდიან – ეს განცხადება ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით დარჩიაშვილმა გააკეთა.

ამ ორი პარტიის გაერთიანებაზე ექსპერტებიც ღიად საუბრობენ, თუმცა ვარაუდობენ, რომ ბურჭულაძეს ეს გაერთიანება ნაკლებად უნდა აწყობდეს. აქვე ვთქვათ, რომ თუ ბატონი პაატა პოლიტიკაში ნაციონალების კარნახით თამაშობს, მას არავინ შეეკითხება, რა აწყობს და რა – არა. ისე ჩანს, პოლიტიკაში მისი დირიჟორი სხვა არის და სწორედ ამ დირიჟორის აქნეულ ჯოხზე მოუწევს ხმის აწევა-დაწევა მსოფლიო ბანს.

ექსპერტი რამაზ საყვარელიძე ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობისა და პაატა ბურჭულაძის შესაძლო თანამშრომლობა საინტერესო თემაა.

– ნაციონალური მოძრაობისგან ეს არ არის გასაკვირი, რადგან მისთვის საფრთხეს წარმოადგენს ბურჭულაძე. მის გამოსვლას ოპოზიციური ტონალობა ჰქონდა და რამდენიმე პუნქტში იმეორებდა კიდეც ნაციონალური მოძრაობის ფრაზებს, მაგრამ, თუ დამოუკიდებლად გავა ბურჭულაძის პარტიას არჩევნებზე, ის წაიღებს ნაციონალების ხმებს, შესაბამისად, ნაციონალებს ამ ეტაპზე აწყობთ, რომ შეერთდნენ ბურჭულაძესთან და მათ არ დაკარგონ ხმები, – აცხადებს ექსპერტი.

ის ელოდა, რომ ბურჭულაძის პირველი სიტყვა უფრო დაბალანსებული იქნებოდა და მისი პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიები ადვილად წასაკითხი არ იქნებოდა.

– რადგან ამ პუნქტში შევცდი ბურჭულაძის პროგნოზში, ახლაც შეიძლება შევცდე, მაგრამ მგონია, რომ ბურჭულაძე ამ ალიანსზე არ უნდა წავიდეს და უნდა ეცადოს, თავისი ამომრჩეველი დაისაკუთროს, – აღნიშნავს რამაზ საყვარელიძე.

ბურჭულაძესთან გაერთიანებას არ გამორიცხავს ნაცების კიდევ ერთი ლიდერი გიორგი ბარამიძე.

– არანაირი გადაწყვეტილება მიღებული ჯერ არ არის. ახლა მთავარია ჩვენი გონებისა და ძალისხმევის კონცენტრირება არჩევნების მოგებაზე და შემდგომ გამოჩნდება, ვინ შეიძლება იყოს ჩვენი პარტნიორი პოლიტიკაში. ჩვენი აზრია, რომ შევეცადოთ, ვითანამშრომლოთ ყველა პროდასავლურად მოაზროვნე ძალასთან, – განაცხადა ბარამიძემ

როგორც ჩანს, ბურჭულაძეს ნაციონალებთან პოლიტიკური ვაჭრობა მოუწევს და ეს ვაჭრობა იოლი არ იქნება, რადგან ნაციონალებს პირველი ათეული უკვე დასახელებული ჰყავთ და ამ ათეულიდან გასავარდნ ზონაში გადანაცვლებას ვინ დათანხმდება, ძნელი სათქმელია.

– პაატა ბურჭულაძესთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ნაციონალური მოძრაობის მთავარ მიზანს ივანიშვილის მმართველობის დასრულება და არსებული კრიზისის დაძლევა წარმოადგენს. მომავალი გვიჩვენებს, რომელი ძალები იქნებიან ამ ბრძოლაში თანმიმდევრულები და ვის ექნება დასავლური ღირებულებები. თუ ამ კრიტერიუმს დავაკმაყოფილებთ ჩვენც და ბურჭულაძეც, ბუნებრივია, იქნება თანამშრომლობა.

ეს მიშა მაჭავარიანის სიტყვებია და, ვინ იცის, იქნებ მალე კოალიცია „ნაციონალური სახელმწიფო ხალხისთვის“ ვიხილოთ.

ე.წ. კაბელების საქმეზე მსჯავრდებულთა ადვოკატები ირაკლი შოთაძეს დებატებში იწვევენ

ე.წ. კაბელების საქმეზე მსჯავრდებულთა ადვოკატები საქართველოს პროკურატურასა და მთავარ პროკურორ ირაკლი შოთაძეს დებატებში იწვევენ. როგორც ე.წ. კაბელების საქმეზე მსჯავრდებულთა ადვოკატებმა ლევან სამუშიამ და სოსო ბარათაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადეს, პროკურატურის მხრიდან მოხდა სიცრუის კიდევ ერთხელ ტირაჟირება.

ადვოკატების თქმით, იმ ბრალდებებზე, რომლებიც პროკურატურამ გამოქვეყნებული მოსაზრებების სახით გახადა საჯარო, დაცვის მხარეს პასუხები უკვე გაცემული აქვს.

– ჩვენ მოვუწოდებთ მთავარ პროკურატურას, ასევე მთავარ პროკურორ ირაკლი შოთაძეს, ნუ იმალებიან და ნუ საუბრობენ მხოლოდ ერთი მხრიდან, გამოვიდნენ საჯაროდ ნებისმიერ დებატებში, თუნდაც წამყვანად მოიყვანონ მოსამართლე ბუგიანიშვილი.

ჩვენ მზად ვართ ნებისმიერ დროს და ეს საზოგადოებამ შეაჯეროს, ვის მხარეს არის სამართალი, ვინაიდან სასამართლოს ნდობა არ გააჩნია, ჩვენ ავირჩიეთ მსგავსი ფორმატი, – განაცხადა ადვოკატმა ლევან სამუშიამ.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ე.წ. კაბელების საქმის მტკიცებულებების ნაწილი გაასაჯაროვა. ამასთან დაკავშირებით პროკურატურა განცხადებას ავრცელებს და აღნიშნავს, რომ მტკიცებულებების ნაწილის გასაჯაროება ხდება იქიდან გამომდინარე, რომ „პასუხი გაეცეს საქმეში მონაწილე ადვოკატებისა და საქმის პოლიტიზებით დაინტერესებული პირების უსაფუძვლო და დაუსაბუთებელ განცხადებებს“.

ინტერპრესნიუსი

კახა კუკავა: „ივანიშვილმა ძალაუფლება შეიძლება სააკაშვილს გადააბაროს“

ნონა ცაბაძე

თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს აფასებს და ის ჩვენს მკითხველს საკმაოდ სკანდალურ ინფორმაციას აწვდის, თუ რას გეგმავს ბიძინა ივანიშვილი 2016 წლის არჩევნებზე. როგორც კუკავა აცხადებს, ეს ინფორმაცია მისმა უახლოესმა მეგობარმა მიაწოდა, რომელსაც „ქართულ ოცნებაში“ საკმაოდ მაღალი თანამდებობა უკავია. თუმცა ამაზე ცოტა მოგვიანებით.

– ბატონო კახა, თქვენ არასაპარლამენტო ოპოზიციას წინასაარჩევნოდ გაერთიანებისკენ მოუწოდეთ, თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, ჯერ არავინ შეგხმიანებიათ. ასეა?

– ლეიბორისტულმა პარტიამ გამოაცხადა მხარდაჭერა მაჟორიტარული კანდიდატების ნაწილში და შეასრულეს კიდეც პირობა, მოვიდნენ ისინი შეხვედრაზე. გარდა ამისა, დეტონაციის დონეზე ჩვენ გვაქვს პატრიოტების განცხადება და, იმედი მაქვს, რომ ისინიც შეასრულებენ თავიანთ დანაპირებს. დანარჩენი პარტიებისგან ჩვენ არ მიგვიღია განცხადება, თუმცა რამდენიმე პარტიასთან კიდევ ვაგრძელებთ მუშაობას.

– არსებულ ფონსა და ვითარებას როგორ აფასებთ?

– არსებული ვითარება ძალიან მძიმეა. დაახლოებით იგივე ხდება, რაც 2000-იანი წლების დასაწყისში და 2010 წელს ხდებოდა ანუ ქვეყანაში მწიფდება კრიზისი. ჯერჯერობით არ არის რევოლუციური სიტუაცია, არ ვფიქრობ, რომ ამ კუთხით წელს რაიმეს უნდა ველოდეთ, თუმცა, არც ამის გამორიცხვა შეიძლება, მაგრამ, მე ვფიქრობ, უახლოეს პერიოდში მოხდება ხელისუფლების დრამატული ცვლილება და ამისთვის ყველაფერს აკეთებს პირველ რიგში თვითონ ხელისუფლება, რომელსაც ჩართული აქვს თვითგანადგურების ინსტინქტი.

– კვლავ დრამატული გზით უნდა განხორციელდეს ცვლილებები?

– საქართველოში ჩვენ უკვე ვნახეთ ხელისუფლების რამდენიმე ცვლილება და შეგვიძლია, რაღაც განმაზოგადებელი ნიშნები გამოვყოთ. ეს არის, ხელისუფლება როცა ირჩევს კონფრონტაციას ყველასთან, ქვეყნის გარეთ თუ ქვეყნის შიგნით. მეორე, როდესაც ხელისუფლებაში ინტელექტუალების მაგივრად მიმდინარეობს მლიქვნელების დაწინაურება. მესამე – როდესაც ხელისუფლება არ არის მონოლითური და ხელისუფლების შიგნით გარკვეული ჯგუფები თავად არიან დაინტერესებული ხელისუფლების დაცემით და ბოლოს, ყველაზე უფრო მთავარი, როდესაც ხელისუფლებას არ შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება.

– პოლიტიკურ ბაზარზე გამოჩნდნენ ახალი მოთამაშეები, მიმდინარეობს გადაჯგუფებები. ამ პროცესს როგორ აფასებთ? რამდენად კარგი მოთამაშე იქნება ამ ბაზარზე პაატა ბურჭულაძე?

– დღეს უკვე გამოიკვეთა სამი ფლანგი ქართულ პოლიტიკურ სპექტრში. ერთი – ეს არის პროამერიკული ფლანგი, რომლის ფლაგმანიც არის ნაციონალური მოძრაობა და, მე ვფიქრობ, მასვე მიეკუთვნება პაატა ბურჭულაძე და მისი პარტიაც. საბოლოო ჯამში, ეს არის ერთი კოალიცია.

– მიგაჩნიათ, რომ ისინი ერთად იქნებიან?

– რასაკვირველია. ამას თავადაც არ უარყოფენ. ისინი ნამდვილად არ გამორიცხავენ ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად საპარლამენტო უმრავლესობის შექმნას. გარდა ამისა, დააკვირდით მათ განცხადებებს, მათ მესიჯებს, მათ საგარეო და საშინაო კურსს. ეს არის თავიდან ბოლომდე იდენტური ნაციონალური მოძრაობისა.

– რომელია მეორე ფლანგი?

– მეორეა ივანიშვილის ფლანგი, რომელსაც მიეკუთვნება „ქართული ოცნება“, ნინო ბურჯანაძე და კიდევ რამდენიმე მათ ხმაზე მომღერალი წვრილი პარტია. არის კიდევ მესამე ფლანგი და ეს არის რეალური ოპოზიცია, რომელიც არ არის მარიონეტული და სატელიტური.

– კონკრეტულად ვინ არიან ეს ძალები?

– ეს ვართ ჩვენ, ასევე გამოვყოფდი ლეიბორისტებსა და ახალ მემარჯვენეებს. რეალურად არსებობს ეს სამი ბანაკი. ყველა დანარჩენი გადაჯგუფდება ამ სამი მიმართულებით.

– სად აღმოჩნდებიან ალასანია და რესპუბლიკელები?

– მათი საგარეო კურსი ცნობილია. ისინი იზიარებენ პროამერიკულ დოქტრინას და, აქედან გამომდინარე, არანაირი კითხვის ნიშნები არ უნდა არსებობდეს. სხვათა შორის, ძალიან კარგი ტესტი არსებობს, როცა გინდა განსაზღვრო, ვინ რომელ ფლანგს მიეკუთვნება.

– რომელ ტესტს გულისხმობთ?

– ამისთვის არსებობს რუსთავი 2. თუ დაგაინტერესებთ, რომელი პოლიტიკოსი რომელ ფლანგს მიეკუთვნება, უნდა შეხედოთ, თუ როგორ აშუქებს მას რუსთავი 2. სააკაშვილის ფლანგს აშუქებს მხოლოდ პოზიტიურ კონტექსტში, ივანიშვილის ფლანგს – მხოლოდ ნეგატიურში, ხოლო რეალურ ოპოზიციას საერთოდ არ აშუქებს.

– ანუ, არ არის გამორიცხული, რომ ამ ძალებმა ერთიანი ალიანსი შექმნან? ნაციონალების ფლანგს ვგულისხმობ.

– მე არ ვფიქრობ, რომ წინასაარჩევნოდ შეიქმნება ერთიანი ალიანსი. სააკაშვილიც და ივანიშვილიც მართავენ პოლიტტექნოლოგიების სტრატეგიას. აქ ახალი არაფერია. ჰოლდინგური კომპანიები როგორც ბიზნესში, ისე პოლიტიკაში მისაღებია. დღეს ნაციონალურ მოძრაობას საშუალოდ მხარს უჭერს 20-30%, ასევე 20-30% ჰყავს ივანიშვილს. უდიდესი უმრავლესობა ამომრჩევლისა ხმას არცერთს არ აძლევს. სრული შანსი გვქონდა, რომ ეს ჩვენი, რეალური ოპოზიციის ამომრჩეველი ყოფილიყო, მაგრამ ამიტომაც შექმნეს მათ ეს სატელიტები. აბა, რისთვის შეიქმნა ასე უცბად ბურჭულაძის პარტია?!

– რისთვის?

– იმისთვის, რომ იცის სააკაშვილმა, ამომრჩევლის ძალიან დიდ ნაწილს მისთვის ხმის მიცემა არ უნდა. ამიტომ შემოგვთავაზეს, სააკაშვილი თუ არ გინდათ, ბურჭულაძეს მიეცით ხმაო, ხოლო ეს ხმები საბოლოოდ სააკაშვილის ყულაბაში ჩაიყრება.

– უკვე ცნობილი გახდა ნაციონალური მოძრაობის სია. როგორია თქვენი შეფასებები?

– ნაციონალების სიას რაც შეეხება, პროფესიული თვალსაზრისით ეს ძალიან კარგი სიაა, ნამდვილად სჯობია იმათ, ვინც „ქართული ოცნების“

გაგრძელება მე-4 გვერდზე

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

გიგა ბუკია: „ნაციონალების ვითომ ახალი სახეების უკან მგლების ხროვაა ჩასაფრებული“

„რომან გოცირიძე აქამდე დამოუკიდებელი ექსპერტის რანგში გვმოძღვრავდა“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში გახშირებულ საპროტესტო აქციებს მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებს უკავშირებს პარლამენტის ფრაქცია „კონსერვატორების“ თავმჯდომარე გიგა ბუკია. „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იგი აცხადებს, რომ ზოგიერთი ბოლოდროინდელი საპროტესტო აქცია დემაგოგიურია.

გიგა ბუკია:

– საერთოდ, აქციები იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანაში დემოკრატია და გამოხატვის თავისუფლებაა. გამოსვლების გახშირება კი არჩევნების მოახლოებას უკავშირდება. ბუნებრივია, ზოგ შემთხვევაში არის ჩვეულებრივი მოთხოვნები, მაგრამ ზოგიერთი საპროტესტო კამპანია დემაგოგიურია.

– მაგალითად?

– მაგალითად, თბილისის ბოტანიკური ბაღის გარშემო ატეხილი ალიაქოთი დემაგოგიურია. ეს საკითხი გამოყენებულია ბიძინა ივანიშვილთან საბრძოლველად. არადა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა წინა ხელისუფლება საკუთარ ჯიბეს ისქელებდა და არ ენაღვლებოდა ეკოლოგია და დემოგრაფია, ბიძინა ივანიშვილი ხარჯავდა დიდ თანხებს ბოტანიკური ბაღის უნიკალურობის შესანარჩუნებლად. ახლა, როგორც იქნა, ეს საზოგადოებამაც გაიგო. ნაციონალურმა მოძრაობამ ხალხის მოტყუება ვერ შეძლო. ამ აქციებმა, რომლებშიც აქტიურად იყო ჩართული ნაციმოძრაობა, უკუშედეგი გამოიღო. ხალხში ხელისუფლების მიმართ ერთიანი საპროტესტო განწყობა არ არსებობს.

– ქუჩის აქციებს „თავისუფალი დემოკრატებიც“ აანონსებენ. ისინი აცხადებენ, რომ კაბელების საქმეზე გამოტანილი განაჩენები პოლიტიკურია.

– ვწუხვარ, რომ ირაკლი ალასანია კაბელების საქმის პოლიტიზაციას ახდენს. როცა ამ საქმის გამოძიება დაიწყო, მაშინდელმა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმაც ურჩია ირაკლი ალასანიას, დალოდებოდა პროცესის დასრულებას და ნაადრევი განცხადებები არ გაეკეთებინა. ამჟამად სასამართლომ დაადასტურა პროკურატურის მასალები. ამ მასალების საფუძველზე რამდენიმე კაცი გამტყუნდა. უკეთესი იქნებოდა, ირაკლი ალასანიას ეს პროცესები მაშინ ეკონტროლებინა, როცა მინისტრი იყო და ახლა არ გაეგრძელებინა ამ საქმისათვის პოლიტიკური მანტიის მოსხმა. არასწორი იყო მისი და სხვა „თავისუფალი დემოკრატების“ ადრინდელი განცხადებებიც საგარეო ვექტორის ცვლილებაზე. ასეთი განცხადებები დამაზიანებელია სახელმწიფოსათვის. სახელმწიფოს ინტერესები ყველამ ვიწროპარტიულ ინტერესებზე მაღლა უნდა დავაყენოთ.

საპროტესტო განწყობა არ არსებობს, მაგრამ ძალიან ბევრია ჩამოუყალიბებელი ამომრჩეველი.

– ხალხში შეიძლება ერთიანი

„ვწუხვარ, რომ ირაკლი ალასანია კაბელების საქმის პოლიტიზაციას ახდენს“

ონალური მოძრაობა. ეტყობა, ამ პარტიაში ჰგონიათ, რომ ადამიანებს ენატრებათ სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ადეიშვილის ხილვა მმართველობაში და წამება ციხეებსა და პოლიციაში. პირადად მე საქართველოს ამომრჩევლის გონიერებაში ეჭვი არ მეპარება. ხალხმა სწორი არჩევანი გააკეთა 1990 წელს, 2003 წელს და 2012 წელსაც.

– ნაციონალებმა საარჩევნო სია განაახლეს.

– ეს მათი ტაქტიკის ნაწილია. ისე, საინტერესოა, ვინ უნდა მიიზიდონ ამ განახლებული სიით? რომან გოცირიძე აქამდე დამოუკიდებელი ექსპერტის რანგში გვმოძღვრავდა, იცავდა ირაკლი ქადაგიძეს, როცა ის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი იყო. ამ დროს ლარი გაუფასურდა. ჩვენ მოვითხოვდით ეროვნული ბანკის გაკონტროლებას შესაბამისი საფინანსო ინსტიტუტების მიერ. ამას ეწინააღმდეგებოდნენ არა მარტო რომან გოცირიძე და მისთანა ექსპერტები, არამედ, ქვეყნის პრეზიდენტიც. ახლა ქადაგიძე აღარ არის ეროვნულ ბანკში და ლარი ბუნებრივ ნიშნულს დაუბრუნდა. გოცირიძის სახელი ავბედით კუპონიზაციასაც უკავშირდება. დამოუკიდებელ ექსპერტად გვევლინებოდა ელენე ხოშტარიაც, რომელიც ნაციონალების სიაშია. ეს ცვლილებები ფასადურია. ამ ვითომ ახალი და ნეიტრალური სახეების უკან მგლების ხროვა იმალება. ეს მგლები ჩასაფრებული არიან და ისევ ძალაუფლებას ეჭიდებიან.

– რა გამოუვათ ამ მგლებს?

– არაფერი არ გამოუვათ, თუმცა ექნებათ ქვეყანაში სიტუაციის არევის მცდელობები. ხელისუფლება არეულობას არ დაუშვებს და ყველაფერს კანონის ფარგლებში გააკონტროლებს. ნაციონალებს ხოშტარიებით, გოცირიძეებით უნდათ საარჩევნო სიის შეფუთვა. სინამდვილეში, ხოშტარია, გოცირიძე და სხვები არ არიან გადაწყვეტილებების მიმღებები. გადაწყვეტილებებს იღებენ სხვები. ამ სხვებს ცუდი გეგმები აქვთ, მაგრამ მათ ხალხი არ აჰყვება. საზოგადოება იმასაც გაიაზრებს, თუ რისი გაკეთება მოახერხა ახლანდელმა ხელისუფლებამ.

– კონსერვატორები როგორი ფორმით იღებთ არჩევნებში მონაწილეობას?

– ამაზე კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ამ საკითხზე კონსულტაციები გვაქვს.

ბაჩუკი ქარდავა: „8 ოქტომბერს არჩევნები, ალბათ, გერმანული მოდელით ჩატარდება“

ნათია ხურცილავა

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ბაჩუკი ქარდავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში არჩევნების გერმანული მოდელის შესახებ საუბრობს.

– ბატონო ბაჩუკი, რესპუბლიკელებმა გერმანული მოდელი ინტერპარტიული ჯგუფის შეთავაზებით გაიტანეს პარლამენტში და, ალბათ, მომდევნო კვირას პარლამენტი მას განიხილავს. რა მოლოდინები გაქვთ?

– როდესაც მივმართეთ საპარლამენტო ფრაქციებს, ოპოზიციურს, ნახევრად ოპოზიციურს, იმ პარტიებს, რომლებმაც ცოტა ხნის წინ დატოვეს უმრავლესობა თუ მმართველი კოალიცია, ჯერ კიდევ მყიფე იყო მათი პოზიციები, მაგრამ ახლა მათი პოზიციები მკვეთრი ხდება და არათუ დიდი შანსია, რომ გერმანული მოდელი გავიდეს, არამედ ამ მოდელით არჩევნების ჩატარება ახლოს არის რეალობასთან.

– ამ მოდელის გასატანად 76 ხმაა საჭირო. საპარლამენტო უმრავლესობის გარეშე გროვდება ხმათა ეს რაოდენობა?

– თუ გავითვალისწინებთ იმ უმრავლესობას, რომელიც ადრე იყო, რა თქმა უნდა, ვერ გროვდება, მაგრამ, თუ დღევანდელ რეალობას გავითვალისწინებთ, გროვდება.

– პარლამენტში თემატური უმრავლესობა შეიძლება შედგეს?

– დიახ, სავსებით რეალურია, რომ პარლამენტში თემატური უმრავლესობა მივიღოთ. მეტიც, მაჟორიტარი დეპუტატების ნაწილი შეიძლება გერმანული მოდელის მხარდამჭერთა რიგებში ვიხილოთ.

– გამოდის, ხელისუფლება თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან ცვლილება მისი ნების გარეშე მოხდება.

– შეიძლება რიტორიკულად მიიღოთ ჩემი პასუხი, მაგრამ თამაშგარე მდგომარეობაში არავინ რჩება დემოკრატიის გამარჯვების შემთხვევაში.

– დეპუტატი თამაზ მეჭიაური აცხადებს, რომ ცალკეული დეპუტატები აწარმოებენ მოლაპარაკებებს და ერთგვარი გარიგება დგება, რომ მოხდეს გერმანული მოდელის გატანა, რაშიც თავად არ მონაწილეობს. რას უპასუხებთ?

– არანაირი სურვილი არ მაქვს, მეჭიაურს ვუპასუხო, მაგრამ, რასაც მეჭიაური ამბობს, რომ შესაძლოა რიგმა დეპუტატებმა უმრავლესობიდანაც მხარი დაუჭირონ გერმანულ მოდელს, ეს აბსოლუტურად რეალურია.

– კონსერვატორები გერმანულ მოდელს მხარს არ დაუჭერენ, ამის შესახებ განცხადება გიგა ბუკიამ გააკეთა. ის აცხადებს, რომ კონსტიტუციის რიგ მუხლებს თუ ფუნდამენტურ პრინციპებს ეწინააღმდეგება აღნიშნული მოდელი.

– ბოლო დროს მის განცხადებებს რომ ვისმენ, ცოტა მიჭირს გავაანალიზო, რას გულისხმობს ის, როდესაც მსგავსი ტიპის განცხადებებს აკეთებს. არც ვარ დარწმუნებული, რომ მან ამ სიტყვების მნიშვნელობა იცის, როდესაც ამას ამბობს.

– რას ნიშნავს გერმანული მოდელი? ხმების დათვლის რა პრინციპზეა აქ საუბარი?

– გერმანული მოდელი ნიშნავს ამომრჩეველთა ხმების პროპორციულ დათვლას. პარტიები პარლამენტში ადგილების იმ რაოდენობას მიიღებენ, რა მხარდაჭერაც მათ არჩევნებზე ექნებათ.

– 2020 წლისთვის დაგეგმილი ცვლილებები ანუ მთლიანად პროპორციულ სისტემაზე გადასვლა გერმანული მოდელის მიღების შემთხვევაში კვლავ ძალაში იქნება?

– ჩემი პირადი მოსაზრებაა, რომ მიუხედავად ამისა, მაინც უნდა განხორციელდეს ქვეყანაში შემდგომი არჩევნებისთვის რეფორმა და უნდა გადავიდეთ პროპორციულ სისტემაზე. თუმცა, ამ საკითხზე ჯერ ჩვენ არ გვისაუბრია და მე არ ვიცი ინტერპარტიული ჯგუფის პოზიცია ამ საკითხზე. ახლა მთავარია, კონფრონტაციულ რეჟიმში არ ჩატარდეს არჩევნები და მივიდეთ საერთო შეთანხმებამდე, რომ საპარლამენტო არჩევნები ყველაზე ოპტიმალური ვარიანტით, გერმანული მოდელით ჩავატაროთ.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

კახა კუკავა: „ივანიშვილმა ძალაუფლება შეიძლება სააკაშვილს გადააბაროს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

სახეებად დასახელდა. ამის შედარებაც არ შეიძლება, თუმცა ეს ხალხი, ვინც ნაციონალების ათეულში მოხვდა, არაფრით სჯობია მათ, ვინც აქამდე იყო წინა პლანზე. ეს ხალხი მიიჩნევს, რომ ბაჩო ახალაია არის პოლიტპატიმარი. მაშინ გამოდის, ესენი მიიჩნევენ, რომ გაუპატიურებები და ძალადობა, რომელსაც ატარებდა წინა ხელისუფლება, სწორია და გამართლებული. თუ ეს ასეა, მაშინ რით გამოიხატება მათი განახლებულობა?! იმით, რომ ელენე ხოშტარიამ ინგლისური იცის?!

– ანუ მათი შინაარსი და ხედვები არ შეცვლილა? მხოლოდ ახალი სახეები შემოგვთავაზეს?

– რა თქმა უნდა! განახლება იმას კი არ ნიშნავს, რომ მახინჯისა და დაუბანლის მაგივრად ლამაზი და პირდაბანილი ჩასვა სიაში, არამედ იდეური განახლება უნდა მოხდეს. კარგია, რომ ეს ხალხი განათლებულია, მაგრამ ჰიტლერის ფაშისტურ პარტიაშიც ძალიან განათლებული ადამიანები იყვნენ, ხოშტარიასა და გოცირიძეზე მეტად განათლებულები, მსოფლიო დონის მოაზროვნეები. თუ ეს ხალხი სააკაშვილის კურსს იზიარებს, მის დანაშაულებრივ პოლიტიკას, მაშინ რით გამოიხატება მათი განახლება?!

– ნაციონალური მოძრაობის ცნობილმა სახეებმა საკმაოდ უკანა ფლანგზე გადაინაცვლეს. ამაზე რას იტყვით? ეს ახალი ტაქტიკაა?

– საუბრის დასაწყისში აღვნიშნე, რომ ხელისუფლება შეიპყრო თვითგანადგურების ინსტინქტმა. ამაშიც ნაციონალურმა მოძრაობამ აჯობა „ქართულ ოცნებას“. მათ თვითგადარჩენის ინსტინქტი აქვთ საკმაოდ მძლავრი. რა თქმა უნდა, ეს საკმაოდ რთულად მისაღები გადაწყვეტილება იყო. ვნახეთ, რომ ამან პარტიაში გარკვეული ძვრებიც გამოიწვია, მაგრამ ეს აჩვენებს იმას, რომ ნაციონალურ მოძრაობას აქვს თვითგადარჩენის ინსტინქტი. რადგან მათ მოახერხეს ამ რთული გადაწყვეტილების მიღება, ამით კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ეს საკმაოდ ძლიერი ორგანიზაციაა. დამერწმუნეთ, ნებისმიერ პოლიტიკურ ორგანიზაციას გაუჭირდება ასეთი გადაწყვეტილების მიღება.

– რამდენად უშველით ეს?

– იმ ფონზე, როდესაც ნაციონალების მთავარი ოპონენტი არის რეტროგრადული ძალა, მე ვფიქრობ, რომ ნაციონალური მოძრაობის შანსები იზრდება. მე არ ველოდები, თუმცა, არც გამოვრიცხავ, რომ წელს მოხდეს ხელისუფლების ცვლილება, მაგრამ უახლოეს ერთ-ორ წელიწადში ეს გარდაუვალია!

– წინასაარჩევნოდ ექსცესებს ელოდებით?

– ბუნებრივი წინაპირობები არსებობს, მაგრამ, არ ვიცი, მოხდება თუ არა ამისი ხელოვნურად ინსპირირება. ეს დამოკიდებულია იმაზე, ვაშინგტონს წელს ნებავს საქართველოში ხელისუფლების ცვლილება თუ გაისად. არის კიდევ ერთი ვერსია.

– რა ვერსიაზეა საუბარი?

– ეს ინფორმაცია მომაწოდა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, ჩემმა მეგობარმა. განიხილება გეგმა, რომ როგორც შევარდნაძემ გაიკეთა 2003 წელს, ივანიშვილმაც იგივე გაიმეოროს.

– ანუ?

– ანუ ის, რომ ხელები დაიბანოს და საერთოდ გაერიდოს პოლიტიკას, ხოლო ძალაუფლება მიხეილ სააკაშვილს ჩააბაროს და „ქართული ოცნება“ დატოვოს პირში ჩალაგამოვლებული. ეს ინფორმაცია არა ერთმა და ორმა წყარომ დამიდასტურა. ასე რომ, მოვლენების ასეთ განვითარებასაც უნდა ველოდეთ.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელმა გინესის რეკორდი დაამყარა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელმა იოსებ კობახიძემ საქართველოს რეკორდების ფედერაციის ზედამხედველობის ქვეშ ორძელზე ვარჯიშში გინესის რეკორდი დაამყარა და ბრიტანელი რეკორდსმენის მიერ დამყარებული რეკორდი მოხსნა.

მან ერთი წუთის განმავლობაში 45,4 კგ ტვირთით 34 აზიდვა შეასრულა ორძელზე, რაც წინა რეკორდის გაუმჯობესებაა. როგორც რეკორდების ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ბეგიაშვილმა აღნიშნა, იოსებ კობახიძის მიერ დამყარებული რეკორდი ხარისხითაც და რაოდენობითაც აღემატება ბრიტანელი რეკორდსმენის მიერ დამყარებულ რეკორდს.

იოსებ კობახიძისთვის ეს უკვე მეორე ასპარეზობაა: პირველი რეკორდი მან გასულ წელს, წოლბჯენში აზიდვების შესრულებაში დაამყარა.

სუს-ის თანამშრომლის მიერ დამყარებული რეკორდი საქართველოს რეკორდების ფედერაციის მსაჯებმა დაფიქსირეს.

ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი
204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა

Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.

ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში არსებული უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვით.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს სს სილქნეტის 2016 წლის 8 აპრილის N1636/24-8 წერილით გათვალისწინებული პირობები.

დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონები და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი

ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. რუისის მიმდებარე ტერიტორია, ,,რუისის“ თიხიანი კონგლომერატების (სამშენებლო) გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 31 500 მ³).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა

ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. რუისის მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი
10 000 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)
1 000 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი
5 200 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 20 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 20 ივნისს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 20 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 20 ივნისს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა
2 წელი

14. სხვა მონაცემები

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №2

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი
204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა
Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სამუშაოები განახორციელოს კომპანია „BP საქართველო“-სთან წინასწარ შეთანხმებული წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით;

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვებითი სამუშაოების წარმოებისას პერიოდულად განახორციელოს მდინარის კალაპოტის მონიტორინგი და ჰიდროლოგიური რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში გაჩერდეს სამუშაოები და დაუყოვნებლივ ეცნობოს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარ ზიანზე, რაც კი შესაძლოა მიადგეს გაზსადენს, პასუხისმგებლობა დაეკისრება ლიცენზიის მფლობელს.

ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონები და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);

ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი

მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ქსნის ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - C_1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 105 600 მ³).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა

მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი
14 160 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)
1 416 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი
7 280 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 20 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 20 ივნისს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 20 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 20 ივნისს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა
5 წელი

14. სხვა მონაცემები

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №3

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი
204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა
Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით აწარმოებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმრრთულობის მოწესრიგება.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის (ჭა) კედლების მოპირკეთება და მიწის ზედაპირიდან 1-1,2 მეტრი სიმაღლის კონსტრუქციის აშენება, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და შემოღობვა.

თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი

ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი #29, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 3 650 მ³/წელიწადში).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა

ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი #29

8. აუქციონის საწყისი ფასი
118 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)
11,8 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი
259 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 20 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 20 ივნისს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 20 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 20 ივნისს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა
25 წელი

14. სხვა მონაცემები

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №4

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი
204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა
Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

კარგი ფინალი გამოდგა. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან ორივე გუნდში ისეთი მწვრთნელები მუშაობენ, რომლებსაც თავისებური ქარიზმა და ფეხბურთისადმი ორდინარული მიდგომა აქვთ. ამასთან, ორივე გუნდს საუკეთესო გულშემატკივრები ჰყავს თავიანთ ქვეყნებში და ამ ფაქტმაც მატჩი კიდევ უფრო გააელამაზა.

მოკლედ, ფინალში არასტანდარტულს ველოდით და ასეც მოხდა: ინგლისურმა კლუბმა შესანიშნავად ჩაატარა პირველი ტაიმი. რამდენიმე სახიფათო მომენტის გარდა, დანიელ სტარიჯის ფანტასტიკური გოლითაც გაახარა გულშემატკივარი. ლივერპულს მეტიც შეეძლო, მაგრამ მომენტები გაანიავა.

მერსისაიდელებისგან განსხვავებით, ცოტა შეშინებული ჩანდა სევილია, მაგრამ უნაი ემერომ შესანიშნავი სამუშაო ჩაატარა შესვენებაზე და მეორე ტაიმში მოედანზე სულ სხვა სევილია ვიხილეთ.

კევინ გამეირომ შესვენების შემდეგ პირველივე შეტევა დაასრულა გოლით. ვერ გეტყვით, ამ გოლმა გატეხა ლივერპული თუ სევილია ამუშავდა ბოლომდე, მაგრამ ფაქტია, რომ ახლა დათრგუნული მერსისაიდელები ჩანდნენ და იგრძნობოდა, რომ სევილია დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდა. ასეც მოხდა – კოკემ დუბლი გაიფორმა და გამარჯვებულის ვინაობა 20 წუთით ადრე გადაწყვიტა.

ბაზელში მოგებით სევილია ისტორიაში შევიდა: გახდა პირველი გუნდი, რომელმაც ეს თასი ზედიზედ მესამედ მოიგო, ხოლო სულ მეხუთედ დაეუფლა, რაც ასევე რეკორდული მაჩვენებელია. ამასთან, ამ მოგებით სევილია მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგაზე იასპარეზებს, თანაც პირდაპირ ჯგუფურ ეტაპზე.

სევილიას კიდევ ერთი ფინალი დარჩა მიმდინარე სეზონში – შაბათს ბარსელონის წინააღმდეგ ესპანეთის სამეფო თასზე.

ლივერპულზე კი რა უნდა ვთქვათ: მერსისაიდული კლუბი საერთოდ ტიტულის გარეშე დარჩა. მეტიც, კლუბმა ვერც ევროსაგზურის მოპოვება მოახერხა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ანდუხარ კოკე.

სევილიელთა კაპიტანი ამ მატჩის გმირი გახდა. კოკემ დიდი სამუშაო გასწია და დიდი წვლილიც შეიტანა ანდალუსიელთა ისტორიულ გამარჯვებაში – კაპიტანმა დუბლი გაიფორმა.

უნაი ემერი:

– ლივერპული პირველ ტაიმში ჩვენზე ძლიერი იყო და შესაბამისაც მოგებაც შეეძლო, მაგრამ საპასუხო გოლის შემდეგ ფსიქოლოგიური უპირატესობა მოვიპოვეთ. შესვენების დროსაც, ფეხბურთელებთან სწორედ ფსიქოლოგიურ გადაწყობაზე მქონდა საუბარი. ანგარიში გავათანაბრეთ და მივხვდით, რომ ახლა უკვე ყველაფერი ჩვენს ხელშია. მიმდინარე სეზონში ევროთასებზე შესანიშნავად ვიასპარეზეთ და ეს გამარჯვებაც სწორედ კარგად ჩატარებული სეზონის შედეგია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წინ კიდევ ესპანეთის თასის ფინალი გვაქვს. თუმცა, მანამდე ჩემმა ბიჭებმა სათანადოდ უნდა იზეიმონ ევროპა ლიგის მოგება. მათ ეს დაიმსახურეს.

იურგენ კლოპი:

– მატჩის დასაწყისით უკმაყოფილო ვიყავი, თუმცა პირველი გოლის გატანა მაინც შევძელით. სევილიის საპასუხო გოლი პრობლემა არ ყოფილა, თუმცა ის, რაც გაშვებული გოლის შემდეგ მოხდა, ნამდვილად დიდი პრობლემა იყო. გუნდმა ნერვიულობა დაიწყო, რაც განსაკუთრებით დაცვითი ფუნქციების შესრულებისას იყო შესამჩნევი. ლივერპულმა საკუთარი დონის დემონსტრირება ვერ შეძლო. გოლები ძალიან იოლად გაგვიტანეს. შედეგზე პასუხისმგებელი მე ვარ. სტადიონზე ბევრს არ სჯეროდა, რომ თამაშში დაბრუნებას შევძლებდით, თუმცა მე მეგონა, რომ ამას მოვახერხებდით. გპირდებით, რომ ლივერპული ამ გამოცდილებას სამომავლოდ გამოიყენებს და უფრო ძლიერი დაბრუნდება. ფინალში საკუთარი შესაძლებლობების 50-60 პროცენტი წარმოვაჩინეთ.

თბილისის დინამომ საქართველოს თასი მეცამეტედ მოიგო

დინამო (თბ) – სიონი 1:0

ქუთაისი. რამაზ შენგელია

1:0 ჭანტურიშვილი (29)

დინამო: ჰრდლიჩკა, კაკაბაძე, ამისულაშვილი, რენე ფერეირა, ლობჟანიძე, მიკელ ალვარო (ჭელიძე 81), ჯიღაური, ჭანტურიშვილი, კიტეიშვილი, იაშვილი (პარუნაშვილი 71), ქვილითაია (გელაშვილი 66)

სიონი: მერლანი, ფოფხაძე (შალამბერიძე 85), კილასონია, სვანიძე, გიორბელიძე, რაზმაძე, გვალია (ლუიშ მედინა 72), გაფრინდაშვილი, ვასაძე, მანჯგალაძე (მანაგაძე 82), ტატანაშვილი

გაძევება: გიორბელიძე (90)

თბილისის დინამომ საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასი ზედიზედ მეოთხედ, საერთო ჯამში კი მეცამეტედ მოიგო. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ერთადერთი გოლის ავტორი ვახტანგ ჭანტურიშვილი დასახელდა.

მატჩი, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი დაესწრნენ, უფერული სანახავი გამოდგა. პრინციპში, ფინალური მატჩების უმეტესობა ასეა.

გუნდებმა თამაში ნელ ტემპში დაიწყეს და ფრთხილობდნენ, შეცდომა არ დაეშვათ. დინამოელთაგან ყველაზე აქტიური ოთარ კაკაბაძე იყო, რომელიც ფლანგებიდან ცდილობდა გამწვავებას, მაგრამ მის ჩაწოდებულ ბურთებს საჯარიმოში არავინ ეხმაურებოდა.

თავის მხრივ, ერთი მომენტი სიონსაც შეექმნა, როდესაც გიული მანჯგალაძის კუთხურის მერე თავით გურამ გიორბელიძემ დაარტყა ახლოდან, მაგრამ ძალზედ არაზუსტად. არადა, ბოლნისელს უკეთ შეეძლო ეთამაშა.

ყველაზე რეალური მომენტი კი გიორგი ქვილითაიას ჰქონდა, რომელმაც ალექსანდრე იაშვილის პასის შემდეგ დაარტყა თავით, მაგრამ ბოლნისელებმა მირზა მერლანმა და ძელმა იხსნა. დინამო გოლს იმსახურებდა და გაიტანა კიდეც: ვახტანგ ჭანტურიშვილმა ბოლნისელების მცველების ცუდად მოგერიებული ბურთი საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო, კარგად გაისწორა და მეტოქის კარის მარცხენა ცხრიანში ისე ლამაზად მოჭრა, რომ მერლანმა ბურთს მხოლოდ თვალი გააყოლა.

ტაიმის ბოლო დაჩი ფოფხაძემ სოლო რეიდი განახორციელა და მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, სადაც მეტის უფლება მცველებმა არ მისცეს, მაგრამ ამ ეპიზოდმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია – ბურთი მოგერიების დროს კაკაბაძეს ხელზე შეეხო, მაგრამ მთავარმა მსაჯმა გიორგი ყრუაშვილმა კუთხურის ნიშნულისკენ მიუთითა. სიონის ფეხბურთელები და

გულშემატკივრები კი უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ.

მომენტებით დახუნძლული არც მეორე ტაიმი იყო. ერთია, დინამომ ბურთი მეტოქეს გადააბარა და თავად მშვიდად იცავდა თავს.

თბილისელები მხოლოდ 67-ე წუთზე ანერვიულდნენ: გიორგი ვასაძემ საჯარიმოს გარედან ბურთი მიწაზე დაუშვებლად დაარტყა, ლიბორ ჰრდლიჩკა ვერ შესწვდა და ხარიხას მოხვდა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბურთი უფრო ზემოდან დაეცა ხარიხას.

მატჩის ბოლოს კი 2 მომენტი უკვე ნიკოლოზ გელაშვილს ჰქონდა, რომელმაც ისარგებლა ბოლნისელთა შეტევებით და მოშიშვლებულ დაცვაში გაილაღა, მაგრამ ჯერ ახლოდან დიდი მანძილით ააცილა თითქმის დაუცველ კარს, ხოლო მეორედ გიორბელიანმა წააქცია და ასე იხსნა სიონი მე-2 გოლისგან და მატჩიც იქვე დასრულდა.

ქუთაისმა დინამოსთან მოედანი წააგო

ქუთაისი – დინამო 63:88

(13:20; 18:24; 16:16; 16:28)

სერიის ანგარიში – 1:1

ქუთაისი: ბოისა (2ქ), ფაშაევი, ცეკვავა (13ქ, 7მ), მათიაშვილი (10ქ), ბექაური (4ქ), მიკულიჩი (6ქ), ბაბუნაშვილი (4ქ), ქადარია (4ქ), ბრიტონი (7ქ), დ.ბარბაქაძე (6ქ), გ.ბარბაქაძე (7ქ)

დინამო: შარაბიძე (8ქ, 11მ), ბერიშვილი (20ქ, 9მ), გოგოძე (7ქ, 9მ), მაკალპი (18ქ, 6მ), კოვაჩევიჩი (16ქ, 12მ), ბაქარაძე (3ქ), მაილსი (4ქ), სანაძე, შვანგირაძე (3ქ), ზაქრაძე (1ქ), ტატუნაშვილი (8ქ)

სუპერლიგის ფინალური სერიის მეორე მატჩში ბრძოლა არ შედგა. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილი დინამო ბევრად მომზადებული შეხვდა მორიგ დაპირისპირებას და ქუთაისში, ადგილობრივთა სავსე ტრიბუნების წინ მოპოვებული გამარჯვების შემდეგ სერიაში ანგარიში გაათანაბრა – 1:1.

დინამოელებმა მასპინძლებს ყველა კომპონენტში აჯობეს, რასაც ქუთაისელთა შეტევაში არაზუსტი გარჯა ერთვოდა. იმერული კლუბის წევრები ძალიან ბევრ ბურთს აცილებდნენ და ხშირად სრულიად უწყინარი სიტუაციიდან. დინამოელი კალათბურთელები დაცვაში მჭიდროდ თამაშობდნენ, რაც მასპინძელთა სროლაში შედეგიანობას კიდევ უფრო ამცირებდა.

პირველი პერიოდი სტუმრებმა 20:13 მოიგეს, ხოლო დიდი შესვენებისთვის უპირატესობა 13 ქულამდე გაზარდეს – 44:31. არც დინამო თამაშობდა უშეცდომოდ, თუმცა შეტევაში მეტი შედეგიანობით გამოირჩეოდა როგორც წინა, ისე უკანა ხაზი. გიორგი შარაბიძე ფარქვეშ იმაგრებდა პოზიციებს, ხოლო პერიმეტრიდან ნოდარ გოგოძე, ებრიუ მაკალპი და მიხეილ ბერიშვილი აქტიურობდნენ.

მესამე პერიოდში ვითარება არ შეცვლილა. დინამოელებმა 13-ქულიანი ლიდერობა შეინარჩუნეს და ბოლო პერიოდში ქუთაისელები დიდი პრობლემის წინაშე დადგნენ. 13 ქულის გაბათილება 1 პერიოდში დიდი არაფერია, თუმცა როცა თამაში მიგდის. მასპინძლებს კი ყველაზე მეტად ბოლო პერიოდში არ გაუმართლათ და შეხვედრა ისე წააგეს, წარმატების არანაირი შანსი აღარ ჰქონიათ – 88:63.

დინამოელთა შორის 20 ქულით დ 9 მოხსნით საუკეთესო შედეგი მიხეილ ბერიშვილმა დააფიქსირა. 18 ქულა მიითვალა ნოდარ გოგოძემ, ხოლო მატჩის ერთადერთი ორმაგი დუბლი მაკსიმ კოვაჩევიჩმა მიითვალა – 16 ქულა, 12 მოხსნა.

ფინალური სერიის მე-3 მატჩი 21 მაისს თბილისის ახალ სპორტის სასახლეში გაიმართება.

კოტე ტუღუში, ქუთაისის მთავარი მწვრთნელი:

– სამწუხაროდ, ვერც დაცვაში და ვერც თავდასხმაში ვერ ვითამაშეთ, არ გამოგვივიდა. პირველი მატჩის შემდეგ ვთქვი, რომ დინამო არცერთ შეცდომას არ გვაპატიებდა. ასეც მოხდა და სრულიად სამართლიანადაც. მივდივართ თბილისში თამაშის მოსაგებად.

ირაკლი ხოშტარია, დინამოს მთავარი მწვრთნელი:

– პირველი წაგებული თამაშის მერე დიდი ტაქტიკური გადანაცვლება არ გაგვიკეთებია, უბრალოდ, მოვითხოვე, რომ ცოტა მეტი გაგვეკეთებინა, ფარის ქვეშ ბურთი არ დაგვეკარგა. ჯერ კიდევ ყველაფერი წინ არის. გულშემატკივრობა საუცხოო იყო, დიდი მადლობა დინამოს გულშემატკივრებს, რომლებიც ჩვენ გვერდით იყვნენ.

თომას ბახი რუსეთის ოლიმპიადაზე მონაწილეობას ეჭვქვეშ აყენებს

ზაფხულის 31-ე ოლიმპიური თამაშები შესაძლოა რუსი სპორტსმენების გარეშე ჩატარდეს. სრულიად რუსეთი ბოლო დროს დიდ დოპინგსკანდალში გაეხვია და მოვლენების ამგვარ განვითარებას არ გამორიცხავს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი თომას ბახი.

რუსებს საქმეს ისიც ურთულებს, რომ ახალი ბრალდება რუსეთის ფედერაციაში ყოვლისმომცველი და ხელისუფლების მიერ სანქცირებული სოჭი-2014-ის დოპინგპროგრამის არსებობის თაობაზე უმტკიცდება.

თომას ბახი:

– რიო დე ჟანეიროს 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებში რუსეთის სპორტსმენების მონაწილეობა დამოკიდებულია იმ გამოძიების შედეგებზე, რომელსაც მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტო (ვადა) სოჭი-2014-თან დაკავშირებით აწარმოებს. თუ წარმოდგენილი იქნება უტყუარი მტკიცებულებები ორგანიზებული სახელმწიფო დოპინგპროგრამის არსებობის თაობაზე, რომელიც სპორტის ბევრ სახეობას ეხება, საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებსა და სოკ-ს მოუწევთ მძიმე გადაწყვეტილების მიღება ინდივიდუალურ და კოლექტიურ პასუხისმგებლობას შორის.

ახალ დოპინგსკანდალს წინ უძღოდა რუსი მძლეოსნებისთვის დაწესებული სანქცია, რომელიც მოჰყვა

ერთ-ერთი გერმანული ტელეკომპანიის მიერ მომზადებულ მამხილებელ დოკუმენტურ ფილმს. ამ სანქციის მოხსნა-არმოხსნის საკითხი არაუადრეს 17 ივნისის შემდეგ უნდა გადაწყდეს, მაგრამ ამასობაში რუსეთს უფრო მძიმე ბრალდება წაუყენეს, რომელიც სპორტის ყველა სახეობის წარმომადგენელთა ოლიმპიადიდან მოკვეთას გულისხმობს.

ამჯერად რუსეთს ახალი დოპინგბრალდება წაუყენა მოსკოვის ანტისადოპინგო ლაბორატორიის ყოფილმა ხელმძღვანელმა გრიგორი როდჩენკოვმა.

ამერიკაში გაქცეული მეცნიერი გაზეთ „ნიუ იორკ ტაიმისისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამტკიცებს, რომ ასამდე რუსი სპორტსმენი, მათ შორის სოჭის ოლიმპიადის თხუთმეტი მედალოსანი, ჩართული იყო ე.წ. დოპინგპროგრამაში, რომელიც დეტალურად დაიგეგმა სახელმწიფო დონეზე, რუსებისთვის საშინაო ოლიმპიადაზე გამარჯვების უზრუნველსაყოფად (როგორც ცნობილია, რუსებმა პირველი ადგილი დაიკავეს საერთო გუნდურ ჩათვლაში).

როდჩენკოვი აცხადებს, რომ ნაკრების წევრებს აძლევდა თავისივე მომზადებულ 3 აკრძალული პრეპარატის შემუშავებულ ნაზავს და ამის შესახებ თავად სპორტსმენებმაც იცოდნენ. როდჩენკოვი ასევე აღიარებს, რომ ლაბორატორიის კედელში საგანგებოდ გაკეთებული ხვრელის მეშვეობით აქტიურად მონაწილეობდა ოლიმპიადის რუსი პრიზიორების დოპინგსინჯების შეცვლაში.

„ნიუ იორკ ტაიმსის“ პუბლიკაციაზე დაყრდნობით, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თხოვნით მიმართა ვადა-ს, გამოიძიოს გრიგორი როდჩენკოვის ინტერვიუში გამოთქმული ბრალდებები.

როდჩენკოვის განცხადებების საფუძველზე, მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს პარალელურად, აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ ასევე დაიწყო გამოძიება რუსეთის სამთავრობო ჩინოვნიკების, სპორტსმენების, მწვრთნელებისა და ანტისადოპინგო ორგანოების წინააღმდეგ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კაფუ ანჩელოტის აქებს, ანჩელოტი — ხამეს როდრიგესს

ლეგენდარულმა ბრაზილიელმა ყოფილმა მცველმა, კაფუმ, რომელსაც კარლო ანჩელოტის თავკაცობით არაერთი სეზონი უთამაშია, მისი ბაიერნში დანიშვნის ფაქტი განიხილა.

ფეხბურთელის თქმით, ანჩელოტი ძალიან ძლიერი სპეციალისტია, რომელსაც გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვს. ის სწორედ იმ მწვრთნელთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც თავიანთ გუნდს იდეალურად ერგებიან და ფიქრობს, რომ მას ბაიერნთან ერთად წარმატებული პერიოდი ექნება.

ანჩელოტი 1 ივლისიდან ჩაუდგება გუნდს სათავეში და უკვე დაიწყო ფიქრი შემადგენლობაზე. ავტორიტეტული ესპანური ტაბლოიდების ცნობით, ბაიერნი მადრიდის რეალის შემტევი ნახევარმცველის, ხამეს როდრიგესის გადაბირებას გეგმავს.

ესპანური მედიის მტკიცებით, ბავარიული კლუბის ხელმძღვანელობა თავად ფეხბურთელის აგენტ ჟორჟე მენდეშს დაუკავშირდა და მისი კლიენტის სამომავლო გეგმების შესახებ ჰკითხა. ორი აზრი არ არის, რომ კოლუმბიელი მემარცხენე მისი მადრიდული ყოფით უკმაყოფილო უნდა იყოს და არც რეალში დარჩენა უნდოდეს.

პოტენციური ტრანსფერის დამატებით სტიმულად შეგვიძლია, კარლო ანჩელოტის როლიც მივიჩნიოთ, რომელმაც რეალის სათავეში 2 სეზონი გაატარა და ხამესის საფეხბურთო შესაძლებლობების შესახებ კარგად იცის.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

პარიზიდან კაიროში მიმავალი თვითმფრინავი ხმელთაშუა ზღვაში ჩავარდა

გუშინ, 19 მაისს, ავიაკომპანია ეგიპტეირის კუთვნილი ლაინერი ა320, რომელიც პარიზიდან კაიროში მიფრინავდა, კაიროში დაშვებამდე ნახევარი საათით ადრე რადარებიდან გაქრა.

ბორტზე 66 ადამიანი იმყოფებოდა, მათ შორის 56 მგზავრი და ეკიპაჟის 10 წევრი.

საბერძნეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, გაუჩინარებამდე ლაინერმა კურსი მოულოდნელად შეცვალა და შემდეგ სიჩქარე სწრაფად დაკარგა.

მოგვიანებით ხმელთაშუა ზღვაში, კუნძულ კრეტასთან, თვითმფრინავის ფრაგმენტები იპოვეს, მაშველებმა კი ორი ცხედარი აღმოაჩინეს.

ნამსხვრევები ნაპოვნია 80 კილომეტრში იმ ტერიტორიიდან, სადაც ლაინერი რადარებიდან გაქრა.

ეგვიპტის ავიაციის მინისტრმა განაცხადა, რომ ლაინერის გაუჩინარება, სავარაუდოდ, ტერორისტულ აქტს უკავშირდება, ვიდრე ტექნიკური სახის პრობლემას.

მსგავსი მოსაზრება გამოთქვა რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორმა ალექსანდრ ბორტნიკოვმა.

– როგორც ჩანს, ეს იყო ტერორისტული აქტი, რომლის შედეგად 12 სახელმწიფოს 66 მოქალაქე დაიღუპა, – განაცხადა ბორტნიკოვმა.

მან მოუწოდა ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის პარტნიორებს ევროპიდან, მიიღონ ერთობლივი ზომები იმ პირთა გამოსავლენად, რომლებსაც ამ „საზარელ აქტთან“ აქვთ კავშირი.

ნულანდი: „მინსკის ხელშეკულებების შესრულების გარეშე დონბასის არჩევნებს არავინ აღიარებს“

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვიქტორია ნულანდი მოსკოვში ჩავიდა. აქ ის შეხვდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე რაზუმკოვს, აგრეთვე რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე სურკოვს.

საუბრის ძირითადი თემა დონბასში შექმნილი მდგომარეობა იყო.

ჟურნალისტებთან საუბრისას ნულადმა აღნიშნა, რომ დემოკრატიული მსოფლიო არ აღიარებს დონბასში ჩატარებულ არჩევნებს, თუკი მინსკის ხელშეკრულებები სრულად არ იქნა შესრულებული. ნულანდმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის არმიამ დონბასის მთელი ტერიტორია უნდა დატოვოს, ხოლო რუსეთ-უკრაინის საზღვრის დონბასის მონაკვეთი უკრაინის კონტროლქვეშ გადავიდეს.

ნულანდმა გააკრიტიკა სეპარატისტების პოზიცია, რომლებიც უკრაინულ კანონმდებლობას არ ემორჩილებიან და ცდილობენ, არჩევნები საკუთარი კანონების მიხედვით ჩაატარონ.

– ეს ყოვლად დაუშვებელია, – თქვა ნულანდმა.

რაჰმონს სურს, მუდამ პრეზიდენტი იყოს

რეფერენდუმი ტაჯიკეთში

ტაჯიკეთში ჩატარდება რეფერენდუმი. მისი შედეგები პრეზიდენტ რაჰმონს, ალბათ, უფლებას მისცემს, თავისი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე დაუსრულებლად წამოაყენოს.

იმაში, რომ რეფერენდუმი რაჰმონისთვის დადებითი შედეგებით დამთავრდება, ეჭვი არავის ეპარება, რადგან ტაჯიკეთის პრეზიდენტი შეუზღუდავი ძალაუფლებით სარგებლობს.

ემომალი რაჰმონი 1952 წელს კულიაბის რაიონში დაიბადა. მუშაობდა ელექტრიკოსად, გამყიდველად მაღაზიაში, იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ხელისუფლებაში 1992 წელს მოვიდა, როცა რუსული ხიშტების დახმარებით დუშანბედან ისლამისტები განდევნეს. რაჰმონის გამარჯვება დიდად განაპირობა სისხლის სამართლის დამნაშავე სანგაკ საფაროვის მხარდაჭერამ. თავის დროზე რაჰმონის საყრდენს სწორედ საფაროვის ბანდა წარმოადგენდა.

შემდგომში საფაროვი რუსეთის სპეცსამსახურებმა მოკლეს. ამან ტაჯიკეთის პრეზიდენტს აბსოლუტური ძალაუფლებისკენ გზა გაუხსნა. რაჰმონმა ბევრი გააკეთა საიმისოდ, რათა ტაჯიკეთში რუსული გავლენა შენარჩუნებულიყო. მან არა მხოლოდ რუსული ბაზები დატოვა, ტაჯიკეთ-ავღანეთის საზღვრის დაცვაც რუსებს დააკისრა. სანაცვლოდ, მოსკოვმა თვალი დახუჭა იმაზე, რომ ტაჯიკეთში რაჰმონის დიქტატურა დამყარდა, იმაზეც, რომ დიქტატორმა ქვეყანაში სისხლის ტბა დააყენა და ყველა ოპონენტს ფიზიკურად გაუსწორდა.

შედეგად ტაჯიკეთი მთლიანად გაპარტახდა. მდიდრულად მხოლოდ ისინი ცხოვრობდნენ, ვინც მმართველი კლანის წევრები იყვნენ. უამრავმა ტაჯიკმა თავი რუსეთს შეაფარა. სამშობლოში თავს, უბრალოდ, ველარ ირჩენდნენ.

მიუხედავად ამისა, რაჰმონის ძალაუფლება განმტკიცდა. ტაჯიკეთის დიქტატორმა მომავალზე დაიწყო ფიქრი. კონსტიტუციით, 2020 წლის შემდეგ მას უფლება არ აქვს, პრეზიდენტის პოსტზე კენჭი იყაროს. ამჟამინდელი რეფერენდუმის მიზანია, დიქტატორისთვის ეს არასასურველი მუხლი ამოვარდეს. ექსპერტები ფიქრობენ, რომ განიხილება მეორე ვარიანტიც – რაჰმონმა ძალაუფლება თავის ვაჟს, რუსტამს, გადასცეს.

ტაჯიკეთშიც რეფერენდუმია დანიშნული.

ვენეციის პარლამენტმა ყირიმი რუსეთის ნაწილად აღიარა

ვენეციის პარლამენტმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით ყირიმი რუსეთის ნაწილად აღიარა.

მიღებული რეზოლუცია იტალიის ხელისუფლებას მოუწოდებს, ყირიმი რუსეთის ნაწილად ცნოს. დადგენილება მოიცავს აგრეთვე მოწოდებას იტალიის პარლამენტისადმი, რათა რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გაუქმებას მხარი დაუჭიროს.

იტალიური პრესა აღნიშნავს, რომ ვენეციის პარლამენტის დადგენილება მოულოდნელი არ ყოფილა. პარლამენტში უმრავლესობა იმ ძალებს აქვს, რომლებიც იტალიის ევროკავშირიდან გასვლას მოითხოვენ. მათ შორის უნდა გამოვყოთ ჩრდილოეთის ლიგა და იტალიელი ძმები.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ტიმოშენკო პოროშენკოს წინააღმდეგ

უკრაინის ექსპრემიერმა იულია ტიმოშენკომ განაცხადა, რომ პრეზიდენტი პოროშენკო დონბასის ჩაბარებას გეგმავს. ტიმოშენკო ამტკიცებს, რომ უკვე მზადაა კანონპროექტი, რომელიც დონბასში არჩევნების ჩატარებას ითვალისწინებს.

– ეს სეპარატიზმის ლეგალიზაციას ნიშნავს, – აცხადებს ტიმოშენკო.

ოპოზიციური ბლოკის წარმომადგენელმა იური ბოიკომ ტიმოშენკოს გამოსვლა მკაცრად გააკრიტიკა. მან თქვა, რომ კანონპროექტი, რომელიც მზადდება და რომელსაც პარლამენტი უახლოეს მომავალში განიხილავს, შეიცავს რიგ მუხლებს, რომლებიც დონბასელთათვის მიუღებელია.

– კანონპროექტში ნათქვამია, რომ დონბასში არჩევნები მხოლოდ მას შემდეგ ჩატარდება, რაც ცეცხლი შეწყდება, რეგიონში კი ეუთოს პოლიციური მასია შევა. დონბასელები ამას არ დაჰყაბულდებიან, – აცხადებს ბოიკო.

ამ შეფასებას პოლიტოლოგი ვლადიმერ ფისენკოც ეთანხმება. მან აღნიშნა, რომ დონბასელი სეპარატისტების მიზანი უკრაინის შემადგენლობიდან გასვლაა, შესაბამისად, ისინი მხარს არ დაუჭერენ კანონპროექტს, რომელიც დონბასს უკრაინის შემადგენლობაში დატოვებს.

მიუხედავად ამისა, უკრაინის პარლამენტის რამდენიმე ფრაქცია ასეთი კანონის წინააღმდეგ კატეგორიულად ილაშქრებს. ამ ფრაქციებს განეკუთვნებიან ბატკივშჩინა, სამოპომოშჩი, რადიკალური პარტია. მათ მხარს უჭერენ პარლამენტის გარეთ დარჩენილი ძალები და საზოგადოების უმრავლესობა.

რაზუმკოვის ცენტრის კვლევების თანახმად, უკრაინელთა 62% დონბასისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების წინააღმდეგია. უმრავლესობა მებრძოლების ამნისტიასაც ეწინააღმდეგება.

მოსკოვი: თავდასხმა საკრედიტო ბანკზე

მოსკოვის საკრედიტო ბანკის შენობაზე თავდასხმა განხორციელდა. მამაკაცმა, რომელიც ცეცხლსასროლი იარაღით იყო შეიარაღებული, ბანკის თანამშრომლები მძევლად აიყვანა და მოითხოვა, მისთვის დიდი თანხა გადაეხადათ.

ბანკის ერთ-ერთმა თანამშრომელმა განგაშის ღილაკზე თითის დაჭერა მოასწრო.

პოლიცია შემთხვევის ადგილას სწრაფად გაჩნდა. ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად თავდამსხმელი მოკლეს.

ასტროპრომნოზი
20 მაისისთვის

ᲢᲔᲠᲫᲘ – ფინანსური მდგომარეობა გიუარესდებათ. მომავალი ერთობ ბუნდოვანია. მოსალოდნელია კონფლიქტი ნათესავებთან და მეგობრებთან. **ᲙᲣᲠᲝ** – კეთილისმყოფელი დღეა დაფიქრებისათვის. მობილიზებული ხართ ფილოსოფიური აზროვნებისათვის. **ᲭᲣᲯᲔᲑᲘ** – ცდუნებას არ აჰყვეთ. ნუ გადაიღლებით. პარტნიორების მხარდაჭერის იმედი მაინცდამაინც ნუ გექნებათ. **ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲑᲘ** – მეგობრებთან შეხვედრა გაგახარებთ, მაგრამ ზომიერება დაიცავით. ზედმეტად არ გადაიღალოთ. ბუნების წიაღში განმარტოება სასიკეთოდ წაგადგებათ. **ᲚᲝᲛᲘ** – საყიდლებზე წასვლა არ არის სასურველი. ფინანსურად არასტაბილური მდგომარეობა გაქვთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. **ᲥᲐᲚᲬᲘᲚᲘ** – მცირედი სიძნელეები ნუ შეგაშინებთ. არ გარისკოთ. საქმიანი პარტნიორები მახეს გიგებენ. **ᲡᲐᲡᲜᲝᲠᲘ** – ეცადეთ, ჯანმრთელობა გაიუმჯობესოთ, ორგანიზმი გაიკაჟოთ. ზედმეტად ნურავის მიენდობით. **ᲠᲘᲒᲘᲜᲐᲥᲐᲚᲘ** – ნებისმიერი საქმის შესასრულებლად კეთილისმყოფელი დღეა. დიდი ხნის ნატვრა გისრულდებათ და თავს ბედნიერად გრძნობთ. **ᲛᲔᲠᲫᲘᲚᲝᲡᲐᲜᲘ** – ერიდეთ გარშემომყოფებთან კონფლიქტს. ინტიმურ სფეროში სირთულეებია მოსალოდნელი. **ᲗᲘᲗᲘᲡ ᲠᲥᲐ** – ვარსკვლავების განლაგება თქვენ მიმართ არაკეთილგანწყობილია. ყველაფერში სიფრთხილე გამოიჩინეთ. დიდია ავადმყოფობისა და ტრავმის მიღების ალბათობა. **ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘ** – მიუტევეთ, აპატიეთ. წყენას გულში ნუ ჩაიხვევთ. პროვოკაციებს არ წამოეგოთ. ეცადეთ, ოჯახის წევრებს მეტი ყურადღება დაუთმოთ. **ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ** – აქტიურობის პერიოდი გაქვთ. გააანალიზეთ პრობლემების მიზეზები და შეეცადეთ მათ აღმოფხვრას.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. საეკლესიო საგალობელი; 2. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 3. მაღალმთიანი სოფელი სვანეთში; 4. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 5. წაგრძელებული სწორკუთხა, უგუმბათო ტაძარი; 7. მოწითალო-ყვითელი ფერის თმის, წვერის შესაღები ნივთიერება; 11. ხის ტანი ფესვიდან ვარჯამდე; 15. ბუდიზმის ფუძემდებელი; 16. პენალტი ჰოკეიში; 17. უნგრელი მწერალი, რომან „ოქრო კაცის“ ავტორი; 18. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 20. მინერალური წყალი იმერეთში; 22. ხორბლის ქართული ჯიში.

თარაზულად: 6. იაპონური, ლოგიკური მაგიდის სათამაშო; 8. სამხედრო-ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 9. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 10. უნგრული წვნიანი კერძი; 12. იამაიკელი სპრინტერი, მრავალგზის მსოფლიო, ოლიმპიური ჩემპიონი; 13. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება; 14. ბრონეულის წვენისგან მომზადებული საწებელა; 19. ყურძნის შაქარი; 21. პოლიტიკური პარტია საქართველოში; 23. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 24. პლანეტა მარსის ქართული სახელწოდება; 25. მონარქიული სახელმწიფო; 26. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. რეკორდი; 2. ნიანგი; 3. ჩუქურთმა; 4. ლანდტაგი; 7. დობერმანი; 8. ფელამუში; 12. ბელფასტი; 14. საფერავი; 16. ენერგია; 17. კაპრიზი; 19. ბანა; 20. ჩილე.

თარაზულად: 5. რეციდივი; 6. აქუბარდია; 9. პრესტო; 10. გიშერი; 11. ოლიფა; 13. ყენია; 15. ფაველა; 18. შნეკი; 21. კანდელაკი; 2. გურიელი; 23. მანტისა.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. აბატისა; 2. ბერკუტი; 3. ანიონი; 4. ეპოქა; 5. ფარავანი; 7. აია; 11. დევიზა; 15. კარტელი; 16. ლოკალი; 17. სამოა; 18. მორზე; 20. მურეი; 22. ფეტა.

თარაზულად: 6. ბონსაი; 8. დესპანი; 9. ლიოტარი; 10. ტორნადო; 12. რანჩო; 13. ალუვი; 14. სერვანტი; 19. ჰარლემი; 21. ხალიფა; 23. ოპეკი; 24. სოფიტი; 25. პლანერი; 26. ვერდიქტი.

ბოლივუდმა მესტიაში ფილმი გადაიღო

საქართველო, როგორც კინოგადაღების მოედანი, დღითიდღე უფრო აქტუალური ხდება. სვანეთში კიდევ ერთი უცხოური ფილმის გადაღებები მიმდინარეობდა.

ინდურმა გადამღებმა სტუდიამ ფილმ „დედას“ გადასაღებად, სცენარის გათვალისწინებით, სვანეთი შეარჩია. სვანეთის უნიკალური ბუნებისა და ზაფხულის სეზონზე თოვლიანი ამინდის გამო სწორედ საქართველო გახდა დანიშნულების ადგილი.

ფილმის მთავარი პროდიუსერები ინდური კინოინდუსტრიის წამყვანი ფიგურები ბონი კაპური და სუნილ მანჩანდა არიან. ფილმში მთავარ როლს შრიდევი კაპური ასრულებს, რომელიც ინდოეთის მასშტაბით ცნობილი და გავლენიანი მსახიობია. მას პარტნიორობას უწევენ ასევე პოპულარული მსახიობები.

კულტურის პალატა 14 წლის მოზარდს დაეხმარება

საქართველოს კულტურის პალატა და მისი პრეზიდენტი დავით ოქიტაშვილი 14 წლის ბათუმელ მოზარდს დაეხმარება.

ლუკა ჩხარტიშვილი კულტურის პალატის შვილობილი გახდა.

მას ექიმებმა რამდენიმე უმძიმესი დიაგნოზი დაუდგინეს. ლუკას ტერფის ძვლის სიმსივნე, თირკმლების გაორება-ანომალია, თავის ქალის თხემის ძვლის დეფორმაცია, რეაქტიული პანკრეატიტი, ნაღვლის ბუშტის დეფორმაცია და თირკმელზედა ჯირკვლის უკმარისობა დაუდგინეს, რომელიც, როგორც ექიმები ამბობენ, სიცოცხლესთან შეუთავსებელია.

პალატის პრეზიდენტ დავით ოქიტაშვილის ინიციატივით, პალატის მიერ ჩატარებული ყველა ღონისძიებიდან გარკვეული თანხა ლუკას ანგარიშზე ჩაირიცხება.

ევროპელი ხელოვანები თბილისში ჩამოდიან

გერმანულენოვანი მუსიკალური სცენის ერთ-ერთი ყველაზე მრავალმხრივი და გავლენიანი ხელოვანი ბლიქსა ბარგელდი და იტალიელი მუსიკოსი ტეო ტეარდო 26 მაისს თბილისის საკონცერტო დარბაზში ქართველი მსმენელისთვის ერთობლივ საღამოს გამართავენ.

კონცერტი თანამედროვე მუსიკისა და ვიზუალური ხელოვნების ფესტივალის ფარგლებში ჩატარდება, რომელიც საქართველოში 28 მაისამდე პირველად გაიმართება. ფესტივალს ბლიქსა ბარგელდისა და ტეო ტეარდოს ჩამოყვანაში დახმარება გერმანიის საელჩომ გაუწია, რომლებმაც ერთად ორი ალბომი ჩაწერეს.

ბარგელდმა თავისი კარიერა გასული საუკუნის 80-იან წლებში დასავლეთ ბერლინში დაიწყო და იყო ბენდის „ნგრევადი ახალი შენობების“ სოლისტი. ბევრისთვის იგი ასევე ცნობილია, როგორც სხვადასხვა ჯგუფის დამაარსებელი და გიტარისტი, რომლებშიც იგი წლების განმავლობაში უკრავდა. მუსიკალური კარიერის პარალელურად, ის, როგორც მუსიკოსი და მსახიობი, სხვადასხვა თეატრალურ სცენაზე გამოდიოდა.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსრში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

ნინი ონიანს სიშიშვლე დაუწუნეს

მომღერალი დათო ხუჯაძე ახალ კლიპს იღებს, რომელშიც მოდელი და მსახიობი ნინი ონიანი დააკავა. მსახიობი კლიპში ნახევრადშიშველი პოზირებს, რამაც საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია.

ნინი ონიანს უამრავმა ადამიანმა მისწერა და მისი სიშიშვლე დაგმო, რასაც მსახიობმა ასე უპასუხა:

– ერთი კითხვა მაქვს იმ ხალხთან, ვინც მწერს, თუ რატომ ვარ გახდილი ამა თუ იმ ვიდეო რგოლში, სარეკლამო რგოლში და ა.შ. გულწრფელად გეკითხებით, თქვენ და თქვენი ოჯახის წევრები ბასეინზე, ზღვის სანაპიროზე და ა.შ. ქურქებით, ხალათებით, კოსტიუმებით, საღამოს კაბებითა და საკარნავალი ინვენტარით დაბრძანდებით? დიდი სხვაობაა ჩემს თეთრეულსა და ჩემსავე საცურაო კოსტიუმებს შორის? თუ გგონიათ, რომ გადასაღებ მოედანზე ველურების გარემოცვაა? პირიქით, გადაღებაზე პროფესიონალები მუშაობენ და არა ბევრი თქვენგანის მსგავსი უნახავები! ყველას არ ვგულისხმობ, რა თქმა უნდა!

გამაგებინეთ, რატომ არის ზღვაზე საცურაო კოსტიუმით გადაღებული ფოტო ჩვეულებრივი და კლიპში თეთრეულით გადაღებული ფოტო „გარყვნილება..?!“ მეტი როგორ აგიხსნათ, მართლა აღარ ვიცი და აღარც მაინტერესებს.

მოამზადა
ეკა ირემაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

სამგლოვიარო განცხადებები

რუსუდან გაგუა-მეგენეიშვილის

ცრემლიანი მონატრება

ორი წელი ხდება 22 მაისს, რაც შენი უბოროტო და უდანაშაულო სული შეუერთდა რჩეულთა ხვედრს მარადისობაში. ჩვენ კი, დედმამიშვილებსა თუ ოჯახის წევრებს დაგვიტოვე გაუსაძლისი მწუხარება და მონატრება, მაგრამ არ არსებობს წამი უშენობის. გრილი მიწა და დროთა სიშორე ვერ დაგვავიწყებს შენს ნათელ სახეს. ყველას ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ. სიზმრის მოლოდინში გადის წლები. ჩემო რუსუდან, სანამ მე ცოცხალი ვიქნები, ვილოცებ შენი სპეტაკი სულისთვის და უფალს შევთხოვ, რომ ნათელი ეფინოს შენს სამუდამო ადგილსამყოფელს.

შენთვის მუდამ მლოცველი შენი და ფოთოლა ოჯახით

შვილები ნანა და ლეო ფირანიშვილები, შვილიშვილები გვანცა და სოფიკო მახარაძეები, სიძეები სოსო სუჯაშვილი, სოსო მახარაძე, სერგო შარაშიძე და ბექა გიორგაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეთერ კურკუმული

დაკრძალვა: 21 მაისს. 14 საათზე;

მის: ყაზბეგის რაიონი, სოფელი აჩხოტი.

მეგობრები ნანა ფირანიშვილს სამძიმარს ვუცხადებთ დედის

ეთერ კურკუმულის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

განცხადებები

იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ ვაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან
მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

TV პროგრამა

პარასკევი
20 მაისი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** დ/ფ **12.30** "ბრაუზერი" **13.00** ტ/სერ. "**ჩინგო ვეგრინე**" **14.05** "ეკიპაჟი" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.40** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.10** "პროექტი ზღვარზე ტელებლოგში" **21.40** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **23.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**დილერები**"

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **13.00** დ/ფ "იაპონია: იმპერატორი და ჯარი" **14.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **16.00** დ/ფ "შავი მატერიის საიდუმლო" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე"(5 ნაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**დახშრული სპოლა**" **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**აპტარაკალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** პოლიტიკა **23.30** მხ/ფ "**ფიჭვნარს მიღმა**" **02.15** მხ/ფ "**ჩე: ნაწილი მეორე**" **05.00** სერ. "**კონტრაქტის პირობები**" **9-10** სერ.

06.30 სერ. "**დაკარგული ბაკშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.00** კურიერი **15.55** სერ. "**ჭარადა - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **20.50** ლოტო **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **29 01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. - "**პარსკევლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**ჯარგი ცოლი**" **11.00, 3.00** სერ. "**ბრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძალები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **23.40** სერ. "**ჯოჯოხეთი ბორგლებზე**" **0.40** მხ/ფ "**ბროუქენ ლიზარდის ფიფის კლუბი**" **2.30** URBAN STORIES

06.10 მუს.პაუზა **06.15** კვირიაკე **07.20** დ/ფ "მცხეთა, წმინდა ქალაქი--ჯვარი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე **11.25** მოკ. მხ/ფ "**არაჩვეულებრივი რვისი**" **12.10** პორტრეტები **13.15** ერთხელ ბავშვობაში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "კიპარისი" **15.10** ქართ. ან/ფ **15.30** დ/ფ "ველური ბუნება" **15.40** კონცერტი "თეატრალურის კვარტეტი" **17.15** მიწათმოქმედი "ქართული ხორბლის გაცნობა" **17.30** ჩვენი საგანძური **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ბაზაფხული ბადის**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "დმანის ხევი-ტანძია და ფიტარეთი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** თბილისის ტაძრები "ფერიცვალების დედათა მონასტერი" **00.35** დ/ფ "ქართული მართმადიდებლური ეკლესია" **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30,** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ბუშტუკები"-**33** (ფესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05,** სერ. "**ფეხი ფულ და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 15.30, 1.30** სერ. "**ფფარველი ანგელოზი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.30** "ბიზნეს კონტაქტი" **19.05** სერ. "**ქალთა ეფიფი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ფართოა მდინარე**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**უსხო**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

20 მაისისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.1628	ევრო — 2.4377
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1252	100 რუსული რუბლი — 3.3133

ამინდის პროგნოზი 20 მაისისთვის

20 მაისიდან

ნოდარ დუმბაძე
თეთრი ბაირაღები



ეს გამოცემა იმითაცაა განსაკუთრებული, რომ წიგნს ერთვის რამდენიმე ფრაგმენტი რომანის ხელნაწერი ვერსიიდან, ასევე მწერლის მეუღლის, ნანული დუმბაძის, მიერ ციხეში შეგზავნილი ბარათები.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

19 მაისიდან

გრიგოლ რობაქიძე
ლენინი, სტალინი, ჰიტლერი, მუსოლინი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ბარსელონას ვისენტე კალდერონზე კატალონიის დროშების შეტანა სურს

22 მაისს მადრიდში, ვისენტე კალდერონზე, ესპანეთის თასის ფინალი გაიმართება, რომელშიც ერთმანეთს ბარსელონა და სევილია დაუპირისპირდებიან.

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ სტადიონზე კატალონიის დროშების შეტანა აკრძალა, რამაც ბარსელონის მერ ადა კოლაუს პროტესტი გამოიწვია, რომელიც აცხადებს, რომ თუ აკრძალვა არ მოიხსნება, ის თასის ფინალს არ დაესწრება.

ესპანეთის თასის ფინალთან დაკავშირებით ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე ოფიციალურ განცხადებას კლუბიც აქვეყნებს.

– კლუბი ჩვენი წევრებისა და გულშემატკივრების სიტყვის გამოხატვის თავისუფლებას ყოველთვის იცავდა. საფეხბურთო კლუბი ბარსელონა ესპანეთის თასის ფინალის დროს კატალონიის დროშების აკრძალვას კატეგორიულად არ ეთანხმება. ეს გადაწყვეტილება ესპანეთის ხელისუფლების მადრიდის წარმომადგენლებმა გააკეთეს. ბარსელონას მიაჩნია, რომ გადაწყვეტილება ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას, რაც ყველა ინდივიდის ფუნდამენტური უფლებაა.

ბარსელონა ყოველთვის იცავდა და მომავალშიც დაიცავს გამოხატვის თავისუფლებას მისი წევრებისა და გულშემატკივრებისთვის, რომლებიც ყოველთვის ცივილიზებულობითა და პატივისცემით გამოირჩეოდნენ. ბარსელონა მოუწოდებს ხელისუფლებას, უზრუნველყოს ესპანეთის თასის ფინალის დროს სტადიონზე კარგი ატმოსფერო.

მოამზადა მანუელ ჟორჟოლიანმა

კიმ კარდაშიანმა შიშველი სელფისთვის „ინტერნეტ-ოსკარი“ მიიღო



ამერიკელმა ტელევარსკვლავმა კიმ კარდაშიანმა უები ევორდის ფარგლებში მიიღო ჯილდო, რომელიც ასევე „ინტერნეტ-ოსკარის“ სახელითაცაა ცნობილი. ეს მან თავისი შიშველი სელფებისთვის დაიმსახურა. დაჯილდოების ცერემონიალი ნიუ იორკში გაიმართა.

ჯილდოს მიღებისას 35 წლის ტელევარსკვლავმა პირობა დადო, რომ ის სიცოცხლის ბოლომდე გააგრძელებს შიშველი სელფების გადაღებას.

პრემიის ორგანიზატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს სოციალურ ქსელებში კარდაშიანის სულ უფრო მზარდი პოპულარობა და 2016 წლის მარტში შიშველი სელფების გამოქვეყნება. მოგვიანებით ტელევარსკვლავმა შიშველი ფოტოსურათები მოდელ ემილი რატაკოვსკისთან ერთად გადაიღო. ორივე ფოტოსურათმა 1,4 მილიონზე მეტი მოწონება მიიღო თითოეულმა ცალ-ცალკე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

კაცი კარაქს ყიდის. ერთ-ერთი მყიდველი ეკითხება:
– რა ღირს შენი კარაქი?
– 18 ლარი.
– რა ამბავია, შე კაცო, მაგ ფულით საათს ვიყიდი.
– მერე პურზე გადაუსვამ???

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:
– მაინტერესებს, ისევ გეყვარები, თმები რომ გამიჭაღარავდება?
– რა, გადაგიყვარე, როდესაც შენი თმები ჯერ გაშავდა, მერე გათეთრდა, მერე განითლდა და იასამნისფერიც კი გახდა?

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:
– ჩემი ქმარი ისეთი კარგია!
– მაინც როგორია?
– მეგობრებთან დასალევად არ დადის, არ მიყვირის, არ იგინება, საერთოდ არ ეჭვიანობს.
– ერთი უჩქმიტე, საერთოდ ცოცხალია?..

●●●

ქმარი ცოლს მანქანის ტარებას ასწავლის:
– წითელ შუქნიშანზე უნდა გაჩერდე, მწვანეზე შეგიძლია გაიარო.
– ???
– ჩემს შეშინებულ სახეს ყურადღებას ნუ მიაქცევ.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ურეკავს და ეკითხება:
– რას აკეთებ?
– ვწევარ.
– როგორ არ იღლები წოლით.
– ზოგჯერ გადავტრიალდები ხოლმე.

●●●

გვიან ღამით ქუჩაში მიმავალ გოგონას მამაკაცი ეკითხება:
– გოგონი, ასე გვიან ქუჩაში სიარულის არ გეშინია?
– მერე როგორ მეშინია! უცბად ვინმემ რომ გამაჩეროს, არადა, დღეს პირადობა სახლში დამრჩა და, შენ წარმოიდგინე, იარაღის ტარების უფლებაც!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:
– საყვარელო, სილამაზის სალონიდან მოვდივარ! აბა, რას იტყვი?
– ძვირფასო, მთავარია, ყველანი ცოცხლები და ჯანმრთელად ვართ...

●●●

ჩინეთის ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს:
– რა ვერ გაიგეთ, ბავშვებო? რამეს ქართულად ვლაპარაკობ?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

23 მაისიდან

ჯეკ ლონდონი
ზღვის მგელი

თავგადასავალი, ფანტასტიკა. ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი



ნიკა ბასილაშვილი როლან გაროსს მიუახლოვდა

ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი ამჟამად საფრანგეთის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპს თამაშობს და უკვე ორი შეხვედრა მოიგო. ნიკას ბოლო მეტოქე ესპანელი ჩოგბურთელი დანიელ ხიმენო ტრავერი იყო, რომელიც ბასილაშვილმა სამ სეტში, საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა.

ეს იმას ნიშნავს, რომ როლან გაროსზე მოსახვედრად ნიკას მხოლოდ ერთი შეხვედრის მოგება დარჩა. ბასილაშვილის მეტოქე უახლოეს დღეებში გაირკვევა.

როლან გაროსის ძირითად ბადეში მოხვედრა ბასილაშვილისთვის საკმაოდ დიდი წარმატება იქნება.

საფრანგეთის ღია პირველობა სტარტს კვირას, 22 მაისს აიღებს.

ადრიანო ლაციოში გადავიდა

ბარსელონის მცველი ადრიანო კორეა კარიერას რომილ ლაციოში გააგრძელებს. ამის შესახებ გაძეტა დელო სპორტი იტყობინება.

ადრიანო ბოლო პერიოდში იშვიათად ხვდებოდა ბარსელონის ძირითად შემადგენლობაში და მისი წასვლა მოულოდნელი არ ყოფილა.

ადრიანომ კატალონიურ გუნდში 6 სეზონი გაატარა და ამ ხნის განმავლობაში უამრავი ტიტული მოიგო.

ბრაზილიელი მცველი ლაციოსთან 4-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს და მისი ანაზღაურება წელიწადში 2 მილიონი ევრო იქნება. ჯერჯერობით უცნობია, რა თანხას გადაიხდის ლაციო ამ ტრანსფერში.

ჯეიმი კარაგერმა ალბერტო მორენო გააკრიტიკა

ლივერპულმა ევროპის თასის ფინალში სევილიასთან წააგო 1:3 და ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შანსი ხელიდან გაუშვა.

იურგენ კლოპის გუნდი პირველი ტაიმის მერე 1:0 იგებდა, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო. საკმაოდ სუსტი შეხვედრა ჩაატარა ლივერპულის მარცხენა მცველმა ალბერტო მორენომ, რომელიც ადრე სევილიის ღირსებას იცავდა.

მატჩის შემდეგ მორენო კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვია და ბევრმა გულშემატკივარმა მარცხი სწორედ მას დააბრალა. ასეთების რიცხვში შევიდა ლივერპულის ყოფილი ლეგენდა ჯეიმი კარაგერი, რომელმაც უცენზურო პოსტი გამოაქვეყნა ტვიტერზე, სადაც თავის ყოფილ გუნდს ახალი მარცხენა მცველის შეძენა ურჩია.

კარაგერმა მოგვიანებით ეს ტვიტი წაშალა, მაგრამ ის მაინც ყველამ ნახა. არ არის გამორიცხული, რომ ამ პოსტის გამო კარაგერს ბოდიშის მოხდამაც მოუწიოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 2. რეგიონი კახეთში; 3. სწორი ნაწლავის ლორწოვანი გარსის ანთება; 4. უკიდურესი, გადამწყვეტი მოქმედების მომხრე ადამიანი; 7. ხვლიკის მსგავსი ცხოველი, რომელიც კანის ფერს იცვლის გარემო პირობების შესაბამისად; 8. კოსმოდრომი რუსეთში; 12. მონასტერი რაჭაში; 14. ნათურების დასამზადებლად გამოყენებული ძნელად დნობადი ლითონი; 16. ვეტერინარის ძველი სახელწოდება; 17. შორეულ აღმოსავლეთსა და ჩინეთში გავრცელებული სამკურნალო მცენარე; 19. ერთ-ერთი კონტინენტი; 20. ბებერი თხა.

თარაზულად: 5. ნაოსნობა ქვეყნის შიდა ნავსადგურებს შორის; 6. საეკლესიო წესით ქორწინება; 9. შაქრის წარმოების ნარჩენი სქელი, შავი სითხე; 10. მცენარის ნორჩი ტოტი; 11. პლასტიკურ და რიტმულ მოძრაობათა ხელოვნება; 13. მზის სისტემის პლანეტა; 15. ესპანეთის ძველი დედაქალაქი; 18. საქართველოს რაგბისტთა ნაკრების მწვრთნელი; 21. უკიდურესი გატაცება რაიმე საქმით, იდეით; 22. ნელი, ზომიერი მუსიკალური ტემპი; 23. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა